ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვცნობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევლება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ქეთევან ჭყეიშვილი



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 28 იანვარი
თბილისი, საქართველო

ლევან ჯანელიძე

შპს ქართული ცემენტი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	564,708	513,456
რეალიზაციის თვითღირებულება	8	(379,064)	(347,814)
მთლიანი მოგება		185,644	165,642
სხვა შემოსავალი		2,075	5,002
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	9	(29,327)	(30,692)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(30,296)	(24,773)
სხვა ზარალი, ნეტო	11	(6,565)	(4,203)
საოპერაციო მოგება		121,531	110,976
ხარჯი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და გაცემული სესხებისთვის	15	(14,646)	-
ფინანსური ხარჯები	20	(9,850)	(8,416)
ფინანსური შემოსავალი		2,418	1,899
სავალუტო შემოსულობა / (ზარალი), ნეტო		(3,258)	24,965
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		96,195	129,424
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		96,195	129,424
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		96,195	129,424

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:

გენერალური დირექტორი
დავით ჯულაშვილი

ფინანსური დირექტორი
ერეკლე ვარდოსანიძე

შპს ქართული ცემენტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენი- შენა	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ.ის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	389,856	395,017
არამატერიალური აქტივები		4,725	5,046
აქტივის გამოყენების უფლება		3,144	3,162
გაცემული სესხები	15	66,276	-
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები	13	1,272	6,309
სულ გრძელვადიანი აქტივები		465,273	409,534
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	15	4,445	4,449
მარაგები	14	67,470	58,910
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		6,522	5,885
სავაჭრო მოთხოვნები	16	11,885	9,963
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	56,369	89,897
სულ მოკლევადიანი აქტივები		146,691	169,104
სულ აქტივები		611,964	578,638
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	249,979	291,811
გაუნაწილებელი მოგება		230,004	133,809
წილობრივი გადახდების რეზერვი	19	1,767	-
საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეზერვი	23	(13,796)	-
სულ საკუთარი კაპიტალი	18	467,954	425,620
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები		739	524
საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	23	11,686	-
საიჯარო ვალდებულებები		2,106	2,019
ნასესხები სახსრები	20	69,704	63,245
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		84,235	65,788
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	23	2,110	-
საიჯარო ვალდებულებები		1,291	1,293
ნასესხები სახსრები	20	7,998	33,180
სავაჭრო ვალდებულებები	22	27,667	30,350
სახელშეკრულებო ვალდებულებები	7	3,523	4,345
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21	17,185	17,641
სადივიდენდო ვალდებულებები		1	421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		59,775	87,230
სულ ვალდებულებები		144,010	153,018
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		611,964	578,638

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:

გენერალური დირექტორი
 დავით ჯულაშვილი

ფინანსური დირექტორი
 ერეკლე ვარდოსანიძე

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-43, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ხელმოწერა

შპს ქართული ცემენტი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		96,195	129,424
მოგების გადასახადით დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაჯერებელი კორექტირებები			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	13	32,500	31,021
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	13	380	595
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		631	630
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		1,485	1,432
სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	16	52	22
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა		(166)	(175)
გაცემულ სესხებზე გაუფასურების ზარალი	15	14,646	-
წილობრივი გადახდის ხარჯი	19	1,767	-
სავალუტო ზარალი/(შემოსულობა), ნეტო		3,258	(24,965)
ფინანსური შემოსავალი		(2,418)	(1,899)
ფინანსური ხარჯი	20	9,850	8,416
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		158,180	144,501
ცვლილებები მარაგებში		(8,560)	(6,883)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(1,974)	(423)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში		(642)	470
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(2,683)	12,332
ცვლილებები სხვა მოკლევადიან ვალდებულებებსა და ანარიცხებში		(1,062)	4,168
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		(14,921)	9,664
მიღებული პროცენტი		2,098	1,900
იჯარასა და ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტი		(9,479)	(8,080)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		135,878	147,985
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გაცემული სესხები		(80,575)	(4,449)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსულობა		328	318
ძირითადი საშუალებების შეძენა		(22,845)	(28,689)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(309)	(38)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(103,401)	(32,858)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	20	(99,426)	(58,699)
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	20	79,166	4,453
საწესდებო კაპიტალის შემცირება	18	(41,832)	-
გადაცემა უშუალო მშობელი კომპანიისთვის	18	-	(354)
კომპანიის მესაკუთრეებისთვის გადახდილი დივიდენდები		(420)	-
შესაკუთრეებისთვის კაპიტალის განაწილება, დივიდენდების გარდა		(1,355)	(1,342)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(63,867)	(55,942)
ნეტო ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(31,390)	59,185
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	89,897	31,552
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,138)	(840)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	56,369	89,897

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-43, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ქეთევან ჯეჯეშელაშვილი

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ქართული ცემენტი“ (ყოფილი შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, იურიდიული სახელწოდება შეიცვალა 2024 წლის 13 სექტემბერს, ბრენდის განახლების პროცესის ფარგლებში) (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 230866435, წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც იმართება და ოპერირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზირი 21.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ცემენტის, ბეტონისა და კლინკერის წარმოება და რეალიზაცია საქართველოში.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% -ის მესაკუთრე იყო ნიდერლანდებში მდებარე კომპანია CaucasusCement Holding B.V. („უშუალო მშობელი კომპანია“).

2023 წლის 21 აპრილს, HeidelbergCement Central Europe East Holding B.V.-მ, CaucasusCement Holding B.V.-ში საკუთრების 45% მიჰყიდა Cement Invest B.V.-ს. 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, CaucasusCement Holding B.V.-ის მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ასე გამოიყურება:

მესაკუთრე	საკუთრება	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია HeidelbergCement Central Europe East Holding B.V. (ან „HC CEE“)	-	45.00%
ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია Cement Invest B.V.	90.00%	45.00%
ქ-ნი სვეტლანა ლამპრიანოვა-ბეჟუაშვილი, საქართველოს მოქალაქე	10.00%	10.00%
სულ	100.00%	100.00%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Cement Invest B.V. კონტროლდება კაიმაანის კუნძულებზე რეგისტრირებული Meadowsweet Assets Limited-ის მიერ, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი არის ქ-ნი ეკატერინა ხვედელიძე. საკუთრების სტრუქტურა შეიცვალა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში, დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 27-ში.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებასა და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის თებერვლიდან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად გამწვავდა. ამან უარყოფითად იმოქმედა სასაქონლო, განსაკუთრებით ენერგომომარაგების ბაზრებზე. რამდენიმე ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ბევრმა კომპანიამ დატოვა რუსული ბაზარი და შეწყვიტა რუსეთის ბაზარზე მომსახურებისა და პროდუქციის მიწოდება. ასევე, ომის გამო, ზოგიერთი საქონელი აღარ არის ხელმისაწვდომი უკრაინიდან ექსპორტისთვის.

კომპანიის დამოკიდებულება უკრაინასა და რუსეთზე შემოიფარგლება ნახშირის შესყიდვით. კომპანიამ წარმატებით მოახერხა საქართველოს ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება და განაგრძო დაგეგმილი წარმოება: (i) ომის დაწყების დროს მარაგში არსებული ნახშირის სრულად გამოყენებით; (ii) ბუნებრივი აირის წილის გაზრდით საწვავის ნარევი; (iii) ადგილობრივი ნახშირის უწყვეტი შეძენით/გამოყენებით; და (iv) არასანქცირებული საერთაშორისო ნახშირის გონივრულ ფასად ყიდვა/მომარაგებით.

ომის გამო, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ომის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ სტაბილური დინამიკა გამოავლინა. მთავრობის მიერ განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა ინვესტიციებმა, გაზრდილმა დანახარჯებმა გზებისა და სამშენებლო სექტორის პროექტებზე დადებითად იმოქმედა კომპანიის ოპერაციებზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ქეთევან ზეიბაშვილი

3. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის გამოყენებით, რომელიც მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია თითოეულ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შესული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გარდა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 შენიშვნა და ქვემოთ განმარტებული ცვლილებები წარდგენაში).

ფას-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლ").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. სავალუტო შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, მოგებაში ან ზარალში აღიარდება. ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „სავალუტო შემოსულობები / (ზარალი), ნეტო“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება მუხლში „სხვა ზარალი, ნეტო“.

წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ თარიღით არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით, როდესაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არაფულად მუხლებზე სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა აღირიცხება სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის სახით.

2023 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსები გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი ("USD") 1 = ლ 2.6894 და ევრო ("EUR") 1 = ლ 2.9753 (2022 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = ლ 2.7020 და ევრო 1 = ლ 2.8844). ამჟამად ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად გაცვლად ვალუტას არ წარმოადგენს.

ქართული ცემენტი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

ცვლილებები წარდგენაში. წლის განმავლობაში კომპანიამ „საქონლის ტრანსპორტირებიდან მიღებული ამონაგების“ კლასიფიკაცია, რომელიც შეყვანილი იყო ნაწილში - „ამონაგები სხვა მომსახურების მიწოდებიდან“ შეცვალა „ცემენტის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებად“ და კლინკერის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებად“. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ცვლილება გვაწვდის სარწმუნო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას. ბასს 8-ის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად და შესადარისები გადანაგარიშდა შესაბამისად.

წარდგენის მიზნებისთვის ხელახალი კლასიფიკაციების გავლენა თანხებზე 2022 წლის 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

ათასი ლარი	თავდაპირველი		რეკლასიფიცირებული
	წარდგენა	რელკასიფიკაცია	
ამონაგები სხვა მომსახურების მიწოდებიდან	27,072	(18,249)	8,823
ამონაგები ცემენტის რეალიზაციიდან	315,112	17,828	332,940
ამონაგები კლინკერის რეალიზაციიდან	37,108	421	37,529

ბიზნეს გეგმა 2023

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება – დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება – დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნებში 15 და 16;

საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები - საგარანტიო ხელშეკრულებები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლითაც კომპანია მნიშვნელოვან რისკს იღებს პოლისის მფლობელისგან პოლისის მფლობელის კომპენსირებაზე თანხმობის გზით, თუ განსაზღვრული გაურკვეველი სამომავლო მოვლენა პოლისის მფლობელზე უარყოფითად იმოქმედებს. ამ შეფასების გაკეთებისას, ყველა არსებითი უფლება და ვალდებულება, მათ შორის კანონიდან, ან რეგულაციებიდან გამომდინარე, განიხილება თითოეული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია იყენებს განსჯას, რათა შეაფასოს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება საგარანტიო რისკს (ანუ, არსებობს თუ არა კომერციული შემცველობის მქონე სცენარი, რომელშიც კომპანიას ექმნება ზარალის შესაძლებლობა დღევანდელი ღირებულების საფუძველზე) და არის თუ არა მიღებული სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვანი.

საგარანტიო ხელშეკრულებების შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განსჯა, შეფასებები და დაშვებები მოიცავს სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას.

კომპანიის მიზანი, სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისას არის სცენარის მოსალოდნელი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შესაძლო შედეგების სრულ დიაპაზონს.

სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებები. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია მიუყვრებოდად აერთიანებს ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ანგარიშგების თარიღისთვის ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე.

სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებები ასახავს კომპანიის შეხედულებას საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ მიმდინარე პირობებზე, საბაზრო ცვლადების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება დაკვირვებად საბაზრო ფასებს, როდესაც ეს შესაძლებელია.

სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ისეთი მომავალი მოვლენების მიმდინარე მოლოდინებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფულად ნაკადებზე, რომლებიც ეფუძნება საგარანტიო ხელშეკრულების ბენეფიციართა ინდუსტრიულ და ბიზნეს გარემოს დეფოლტის ალბათობას (დეფოლტის განაკვეთები).

2023 წლის 31 დეკემბერს დეფოლტის განაკვეთების 10%-ით ზრდა ან შემცირება გამოიწვევს საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების ზრდას ან შემცირებას 1,347 ათასი ლარის ოდენობით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-13 შენიშვნაში.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანიამ აღიარა საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება ამ სტანდარტის მიღებას (იხილეთ შენიშვნა 23).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამოორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; მოგების გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესაძარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესაძარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესაძარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალ-ცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესაძარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები;

ბიზნესი ბიზნესი

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაცენონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“-შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის საბოლოო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

ფასს 17-ის გარდა სხვა ახალი სტანდარტებისა და შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ქეთევან ზეიდაშვილი

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

ცვლილებები ფას 16-ში, იჯარა: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები დაკავშირებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ ფას 15-ში მოცემულ მოთხოვნებს და გაყიდვის სახით უნდა იქნეს აღრიცხული. ცვლილებებით მოითხოვება, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ აქ ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება შემდგომ შეაფასოს იმგვარად, რომ არ აღიაროს მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული რაიმე შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს მსგავსი შემოსულობის გადავადებას, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ცვალებადი გადახდების განხორციელების მოვალეობა და ის დამოკიდებული არ არის ინდექსზე ან განაკვეთზე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბას 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადავადდოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშგებო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბას 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფას 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბას 7-სა და ფას 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე.

ქეთევან ბერიძე

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე. განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბასსს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს წარმოადგენს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. 2015 წელს, ბასსს-მა გადაწყვეტილება მიიღო გადაედო ამ შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი განუსაზღვრელი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქეთევან ზეიწყაშვილი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს ისეთი საქონლის რეალიზაციით, როგორიცაა ცემენტი, ბეტონი, კლინკერი, კირქვა, ასევე მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდების გზით. ამონაგები აღიარდება საქონლის ტონაჟის ოდენობის ინდივიდუალურ ფასზე გამრავლებით, ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გასაყიდი ფასის დადგენის საწყისი წერტილი არის ფასების სია, რომელიც ინდივიდუალურად კორექტირდება ფიქსირებული ფასდაკლებით კონტრაქტის ტიპის, მოცულობის და მიწოდების მანძილის მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისას. მიწოდებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქონლის ტრანსპორტირება მოხდა კონკრეტულ ლოკაციაზე, ან მომხმარებელმა მიიღო საქონელი ხელშეკრულების ან მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ საქონლის მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები. კომპანია სხვა მომსახურებებს გასწევს ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების მიხედვით. კომპანია დროთა განმავლობაში გადასცემს კონტროლს მომსახურებაზე და შესაბამისად აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროთა განმავლობაში, სხვა მომსახურებების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა მოხდა. ამონაგები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე გაწეული ფაქტობრივი მომსახურების, როგორც მთლიანი გასაწევი მომსახურების ნაწილის საფუძველზე, რადგან მომხმარებელი სარგებელს ერთდროულად იღებს და იყენებს.

როდესაც ხელშეკრულება შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, მაგალითად საქონლის გაყიდვას და ტრანსპორტირების მომსახურებას, ოპერაციის ფასი თითოეულ შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე.

დაფინანსების არცერთი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა ავანსად გადახდით ან 30 დღიანი საკრედიტო პირობით.

ათასი ლარი	2023	2022
შემდეგი პროდუქტების გაყიდვიდან წარმოქმნილი ამონაგები:		
ცემენტი	328,874	332,940
ბეტონი	174,658	133,385
კლინკერი	49,208	37,529
კირქვა	1,024	779
სულ ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	553,764	504,633
ამონაგები მომსახურების გაწევიდან:		
სხვა მომსახურებები	10,944	8,823
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	564,708	513,456

ამონაგები აღიარების დრო შემდეგია:

ათასი ლარი	2023	2022
დროის გარკვეულ მომენტში	553,764	504,633
დროთა განმავლობაში	10,944	8,823
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	564,708	513,456

ქეთევან ზეზუაშვილი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

7 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნა (მე-16 შენიშვნა)	11,885	9,963
სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,523	4,344

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის მომხმარებლებისგან მიღებული ანაზღაურება და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ მომხმარებლებს.

საანგარიშგებო თარიღისთვის სახელშეკრულებო ვალდებულებების ამონაგებად აღიარება მოსალოდნელია, რომ მოხდება ერთ წელზე ნაკლებ ვადაში. 2023 წელს, სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღიარდა, როგორც ამონაგები.

8. რეალიზაციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2023	2022
საწვავის ხარჯები	75,800	75,560
ნედლეული და დანამატები	67,241	64,509
ნედლეულის ტრანსპორტირება და აფეთქების სამუშაოები	53,660	45,219
ელექტროენერგია	44,879	42,582
ცვეთა და ამორტიზაცია	34,618	33,075
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	32,876	25,922
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	20,631	17,848
სახარჯო მასალები	19,301	19,166
შეფუთვა	15,758	13,457
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	1,013	976
დაზღვევა	655	525
ცვლილებები მარაგებში	(2,124)	(4,678)
სხვა	14,756	13,653
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	379,063	347,814

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
ტრანსპორტირების ხარჯები	25,374	26,799
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	2,491	2,135
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	76	136
სხვა	1,386	1,622
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	29,327	30,692

ხელმოწერა

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	13,497	11,385
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	5,022	4,793
სალიცენზიო გადასახადი (a)	4,140	2,593
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება	2,742	2,846
ჯგუფის კომპანიებისგან საკონსულტაციო მომსახურებები	2,078	1,573
კომპანიის ზედნადები ხარჯის გადანაწილება (23-ე შენიშვნა)	622	389
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება (b)	609	692
ელექტროენერგიის სხვა ხარჯები	217	284
სხვა	1,369	218

სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	30,296	24,773
--	---------------	---------------

- (a) HeidelbergCement AG-მ კომპანიას გადასცა ისეთი პროდუქტების წარმოების და დისტრიბუციის ლიცენზია, როგორიცაა ცემენტი, აგრეგატები და ბეტონი (26-ე შენიშვნა).
- (b) პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს 472 ათას ლარს (2022: 353 ათასი) - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურების საფასურს, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

11. სხვა ზარალი, ნეტო

ათასი ლარი	2023	2022
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	166	298
სავალუტო შემოსულობა საოპერაციო საქმიანობიდან, ნეტო	149	517
მომველებული მარაგებისთვის შექმნილი ანარიცხები	(1,600)	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება (მე-13 შენიშვნა)	(380)	(595)
სხვა ხარჯები	(4,900)	(4,423)
სულ, სხვა ზარალი, ნეტო	(6,565)	(4,203)

12. მოგების გადასახადი**მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი, 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იხვერება 5%-იანი განაკვეთით, საკუთრების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე), გადასახდელია ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში.

ხელმოწერა

12 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორაციული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვის გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვის გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში, ხდება ბრუნვის გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად, ან როგორც ხარჯების მუხლი, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვის გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან ანაზღაურებადი ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადახდილი ავანსების და სხვა აქტივების მუხლში.

საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო წარდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ხათია ბერიძე

13. ძირითადი საშუალებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ძირითადი საშუალებები აღირიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული დაგროვილი ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების შეფასებულ ვადაზე შემდეგნაირად:

- შენობა-ნაგებობები 33 წლამდე;
- მანქანა-დანადგარები 30 წლამდე;
- ავტომობილები და სხვა აღჭურვილობა 30 წლამდე.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით, ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები შეფასებული იქნა, როგორც ნულის ტოლი.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. უწყვეტი ოპერაციების გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების იმ კატეგორიებში, რომლებიც შეესაბამება გაუფასურებული აქტივის ფუნქციებს.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხორციელდება შეფასება იმის შესახებ, არსებობს თუ არა რაიმე მითითება იმისა, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს, ან ის შემცირდა. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ დაშვებებში ბოლო გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განიცთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობისა და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე გავლენა 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის იქნება მისი გაზრდა 3,611 ათასი ლარით ან შემცირება 2,955 ათასი ლარით (2022: ზრდა 3,447 ათასი ლარით ან შემცირება 2,820 ათასი ლარით).

ხელმოწერა

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

12 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა შემდეგი იყო:

ათასი ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	ქარხანა და დანადგარები	ავტომობილები და სხვა აღჭურვილობა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
მოთიანი საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 1 იანვარი	209,177	297,213	133,793	9,285	649,468
დამატებები	4,501	3,719	10,352	4,855	23,427
გასვლები და ჩამოწერები	(5,618)	(8,753)	(10,937)	-	(25,308)
გადაცემები	3,288	4,856	1,082	(9,226)	-
2022 წ. 31 დეკემბერი	211,348	297,035	134,290	4,914	647,587
დამატებები	2,756	7,777	7,709	9,640	27,882
გასვლები და ჩამოწერები	(2)	(1,760)	(7,044)	-	(8,806)
გადაცემები	1,878	3,599	3,020	(8,497)	-
2023 წ. 31 დეკემბერი	215,980	306,651	137,975	6,057	666,663
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
2022 წლის 1 იანვარი	(62,050)	(99,649)	(84,251)	-	(245,950)
წლის დარიცხვა	(8,235)	(13,786)	(9,000)	-	(31,021)
გაუფასურება	(28)	(173)	(394)	-	(595)
გასვლები და ჩამოწერები	5,618	8,753	10,625	-	24,996
გადაცემები	53	19	(72)	-	-
2022 წ. 31 დეკემბერი	(64,642)	(104,836)	(83,092)	-	(252,570)
წლის დარიცხვა	(8,599)	(14,062)	(9,839)	-	(32,500)
გაუფასურება	-	(169)	(211)	-	(380)
გასვლები და ჩამოწერები	2	1,740	6,901	-	8,643
გადაცემები	(34)	71	(37)	-	-
2023 წ. 31 დეკემბერი	(73,273)	(117,256)	(86,278)	-	(276,807)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 1 იანვარი	147,127	197,564	49,542	9,285	403,518
2022 წ. 31 დეკემბერი	146,706	192,199	51,198	4,914	395,017
2023 წ. 31 დეკემბერი	142,707	189,395	51,697	6,057	389,856

2023 წლის 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებების ყველა მუხლი დაგირავებულია საქართველოს ერთერთ კომერციულ ბანკში, მოპოვებული ნასესხები სახსრების (შენიშვნა 20) და მესამე მხარის მიერ ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 23).

ხელმოწერა

12 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებში მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 1 იანვარს	1,047
დამატებები	6,220
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(958)
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბერს	6,309
დამატებები	12,220
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(17,257)
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბერს	1,272

14. მარაგები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძირითადად, შედგება საწარმოო პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალებისგან, ტექნიკური მომსახურების და მშენებლობის პროცესში გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისგან, სარემონტო მასალებისგან და მზა პროდუქციისგან, რომელსაც კომპანია შემდეგ ჰყიდის. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და შეიცავს შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გარდაქმნის ხარჯს და ამჟამინდელ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ სხვა დანახარჯებს.

გაუფასურების ზარალის დასადგენად ყოველწლიურად ხორციელდება არალიკვიდური მარაგების ანალიზი და ინვენტარიზაციის პროცედურა და აღმოჩენილი მოძველებული ერთეულები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება მარაგების გაუფასურების ანარიცხის ანგარიშში ასახვით.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საზარგო მასალები (თვითღირებულებით)	20,063	17,581
სათადარიგო ნაწილები (თვითღირებულებით)	19,557	18,158
დაუმთავრებელი წარმოება (თვითღირებულება)	9,939	8,665
ნედლეული და დანამატები (თვითღირებულებით)	8,371	7,710
მზა პროდუქცია (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით)	7,533	6,796
მარაგები ტრანზიტში	2,007	-
მარაგები, სულ	67,470	58,910

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მარაგების მთლიანი ნაშთი დაგირავებულია ქართულ კომერციულ ბანკში მესამე მხარის მიერ ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით. იხილეთ შენიშვნა 20.

ქეთევან ჭყავიშვილი

15. გაცემული სესხები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

თავდაპირველი აღიარება. გაცემული სესხები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ოპერაციის ხარჯებისთვის. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. შემოსულობა ან ზარალი საწყისი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების ტექნიკით, რომლის ამოსავალი მონაცემები მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ გაცემულ სესხებზე, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები . საწარმო გაცემულ სესხებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კლასიფიკაციას ანიჭებს. გაცემული სესხების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე გაცემული სესხების შესაბამისი პორტფელის მართვისთვის და (ii) გაცემული სესხების ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. საწარმო პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს გაცემულ სესხებზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე.

გაცემული სესხებისთვის საწარმო იყენებს გაუფასურების სამეტაპიან მოდელს თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილის ტოლია, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის მოვლენიდან მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ საწარმო გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადააქვთ მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, ასეთი არსებობის შემთხვევაში (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადააქვთ და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქეთევან ჭეიშვილი

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა ახორციელებს ინდივიდუალურ შეფასებას თითოეული კონტრაქტისთვის გაცემული სესხებისთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხის შესაფასებლად. შეფასება, კომპანიის მიერ, ინდივიდუალურად ხორციელდება კონტრაქტის წარსული გადახდის ნიმუშის გათვალისწინებით. ამ კონტრაქტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, როგორცაა მშპ-ს რყევები და უფრო ფართო ეკონომიკური პირობები, ასევე წარსული გადახდის ქცევა, კლიენტების კრედიტუნარიანობა და დარგის სპეციფიკური ტენდენციები. ინდივიდუალური შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ხელმძღვანელობის საექსპერტო შეფასებას, რომელიც რეგულარულად მოწმდება, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებებსა და ფაქტობრივ ზარალს შორის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც კორელაციამაა საკრედიტო რისკსა და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ყოველწლიურ საფუძველზე და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. ხუთი წლის შემდეგ საშუალოს რევერსიის მეთოდი გამოიყენება, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკური ცვლადები უბრუნდება გრძელვადიან საშუალო განაკვეთს (მაგ., უმუშევრობა), ან გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს (მაგ., მშპ).

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან შეფასებას, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელს და ამოსავალ მონაცემებს. შემდეგი კომპონენტები დიდ გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის ანარიცხზე: დეფოლტის განსაზღვრა, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, დეფოლტის ალბათობა („PD“), რისკისადმი დაქვემდებარება დეფოლტისას („EAD“) და ზარალი დეფოლტისას („LGD“), ასევე მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. კომპანია რეგულარულად განიხილავს და ამოწმებს მოდელსა და მოდელში შეყვანილ მონაცემებს, რათა შეამციროს რაიმე სხვაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასა და საკრედიტო ზარალის ფაქტობრივ გამოცდილებას შორის. კომპანიამ გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგი. ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც კორელაციამაა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონესთან და მათთვის მინიჭებულ შეწონვებთან არის სავალუტო კურსი და მშპ-ს ზრდის განაკვეთები.

2023 წლის 20 დეკემბერს კომპანიამ გააფორმა გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულებები აშშ დოლარში ორ დაკავშირებულ მხარესთან - შპს „მტკვარი ჰოლდინგთან“ და შპს „ინდუსტრია კირი-სთან“ 65,915 ათასი ლარის (24,546 ათასი აშშ დოლარი) და 14,464 ათასი ლარის (5,454 აშშ დოლარი) ოდენობით, შესაბამისად. სესხები, პროცენტებთან ერთად, უნდა დაიფაროს 10 წლის შემდეგ პერიოდში.

ათასი ლარი	2023	2022
სესხები დაკავშირებული მხარეებისთვის	85,406	4,449
შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(14,685)	-
სულ, გაცემული სესხები 31 დეკემბრისთვის	70,721	4,449

ქეთევან ზეიფიძე

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

შპს „მტკვარი ჰოლდინგისათვის“ გაცემული სესხი უზრუნველყოფილია 100% საკუთრებით. შპს „ინდუსტრია კირი-სთვის“ გაცემული სესხი უზრუნველყოფილია მხარეთა შორის შეთანხმებული აქტივებით, როგორც პირველი რანგის გირავნობა.

შპს „ინდუსტრია კირის“ ფინანსური საქმიანობის შედეგების შეფასების საფუძველზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოვლინდა, რომ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები გარკვეულ ეჭვს ბადებს გაცემული სესხის ნაშთის ამოღებადობასთან დაკავშირებით. შედეგად, სესხის სრული საბალანსო ღირებულება გაუფასურდა და სესხი კლასიფიცირებულია მე-3 ეტაპზე. შესაბამისი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გადასახადი შეყვანილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იხილეთ შენიშვნა 25 სესხების თითოეული კლასის შეფასებული სამართლიანი ღირებულებისთვის. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ განმარტებულია 26-ე შენიშვნაში.

შემდეგი ცხრილი ასახავს ცვლილებებს საკრედიტო ზარალის ანარიცხში და მთლიან საბალანსო ღირებულებაში საწარმოს მიერ დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხებისთვის, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

ბიჭკა ბერიშვილი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი			მთლიანი საბალანსო ღირებულება		
	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ
	(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურებისგან)		(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურებისგან)	
ათასი ევრო						
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები						
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	4,449	-	4,449
მოძრაობები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე						
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი	-	(14,646)	(14,646)	65,916	14,646	80,562
ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	-	-	-	273	-	273
სულ, მოძრაობები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე	-	(14,646)	(14,646)	66,189	14,646	80,835
მოძრაობები, რომლებსაც გავლენა არ ჰქონიათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე						
სავალუტო და სხვა მოძრაობები	-	(39)	(39)	83	39	122
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(14,685)	(14,685)	70,721	14,685	85,406

ქეთევან ჭეიშვილი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი			მთლიანი საბალანსო ღირებულება		
	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ
	(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურების)		(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურების)	
ათასი ევრო						
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები						
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-	-
მოდრაობები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი ცვლილებები დარიცხულ პროცენტში	-	-	-	4,214	-	4,214
				235	-	235
სულ, მოდრაობები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე	-	-	-	4,449	-	4,449
მოდრაობები, რომლებსაც გავლენა არ ჰქონიათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე სავალუტო და სხვა მოდრაობები	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	4,449	-	4,449

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხების საკრედიტო რისკის ანალიზი კატეგორიებად დაყოფილია მათი კლასიფიკაციის მიხედვით - 1 და 3 ეტაპად. სესხები 1 ეტაპზე შეფასებულია, როგორც კარგი საკრედიტო ხარისხის მქონე, საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე. სესხები მე-3 სტადიაში იდენტიფიცირებულია, როგორც სპეციალური მონიტორინგის ან დეფოლტის სტატუსის მქონე მნიშვნელოვანი საკრედიტო გაუარესების და გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების გამო. არც ერთი გაცემული სესხი არ არის ვადაგადაცილებული.

ქეთევან ზეიწყაძე

16. სავაჭრო მოთხოვნები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ფასს 9-ს გამარტივებულ მეთოდს, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც კორექტირებულია იმ მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვად, რომლებიც გავლენას ახდენს კლიენტების მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე. კომპანიამ გამოავლინა ყველაზე რელევანტური ფაქტორები - გლობალური სამშენებლო ინდუსტრიის დეფოლტის ალბათობა, ქვეყნის რისკის პრემია და მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შემდგომ ანალიზდება ინდივიდუალურად, რათა აისახოს კონტრაქტებთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაცია, როგორიცაა საბანკო გარანტიები, კლიენტის სხვა ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობა, ან დეფოლტის მოვლენა.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 120 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა და ძირითადად გადასახდელია ანგარიშ-ფაქტურის თარიღიდან 30 დღის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელებს და ამოსავალ მონაცემებს.

კომპანია ანარიცხის მატრიცას იყენებს სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. ანარიცხების განაკვეთები ეფუძნება ვადაგადაცილებულ დღეებს, გლობალური სამშენებლო ინდუსტრიის დეფოლტის ალბათობას, ქვეყნის რისკის პრემიას და მშპ-ს ფაქტობრივი ზრდის მაჩვენებელს.

ანარიცხის მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება კომპანიის მიერ წარსულში დაკვირვებად დეფოლტის განაკვეთებს, რომელიც კორექტირებულია საპროგნოზო ინფორმაციით.

ყოველი საანგარიშგებო თარიღით, წარსულში დაკვირვებადი დეფოლტის განაკვეთები ახლდება. მსხვილი მომხმარებლებისთვის კომპანია ანარიცხს აფასებს ინდივიდუალურად.

ქოჯარ ბერიშვილი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

16 სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	14,195	12,221
შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(2,310)	(2,258)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	11,885	9,963

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის მოთხოვნების საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება, ანარიცხის მატრიცის გამოყენებით:

% / ათასი ლარი	სულ	არც ვადაგადაცი ლებული არც გაუფასურებ ული	ვადაგადაცილებული			
			<60 დღე	60-120 დღე	120-180 დღე	>180 დღე
2023						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	16%	0%	0%	0%	100%	98%
საბალანსო ღირებულება	14,195	4,404	7,400	42	32	2,317
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,310)	-	(10)	-	(32)	(2,268)
წმინდა ოდენობა	11,885	4,404	7,390	42	-	49
2022						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	18%	0%	0%	0%	99%	97%
საბალანსო ღირებულება	12,221	8,103	1,781	11	21	2,305
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,258)				(21)	(2,237)
წმინდა ოდენობა	9,963	8,103	1,781	11	0	68

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ თანხები, რომლებიც ვადაგადაცილებულია, თუმცა არ არის გაუფასურებული, ამოღებულია. გაუფასურების ანალიზი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის პერიოდულად ხორციელდება. ანალიზი მოიცავს მომხმარებლებისაგან შემდგომში მიღებულ ფულად სახსრებს. კომპანია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ითვალისწინებს არსებულ საკრედიტო გაუმჯობესებებს, როგორცაა საბანკო გარანტიები, რადგან მოთხოვნების უმეტესობა საქართველოს კომერციული ბანკების გარანტიები დაფარვის ფარგლებშია.

ქეთევან ბერიშვილი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში, მიმდინარე ანგარიშებს და მოთხოვნამდე ანგარიშებს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშებს და რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე ფულად სახსრებს სალაროში. აღნიშნულ დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 2,133 ათას ლარს (2022: 1,895 ათასი ლარი).

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები შემდეგია:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	56,369	89,887
ფულადი სახსრები სალაროში	-	10
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56,369	89,897

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო გაუფასურებული (2022: არცერთი). 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ნაშთები განთავსებული იყო სამ წამყვან ადგილობრივ ბანკში, რომლებსაც S&P-ის მიხედვით BB-დან BB+-მდე რეიტინგი აქვთ მინიჭებული (2022: BB- -დან BB+-მდე).

18. საკუთარი კაპიტალი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის მესაკუთრე. კომპანიის გაცხადებულ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით.

კომპანიის კაპიტალი მოიცავს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ შენატანს კომპანიის საკუთარ კაპიტალში და გაუნაწილებელ მოგებას. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს. კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის ოპერაციული და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 249,979 ათას ლარს (2022: 291,811).

2023 წლის განმავლობაში, მესაკუთრემ გაიტანა კაპიტალი 41,832 ათასი ლარის ჯამური ოდენობით.

2022 წელს კომპანიამ უშუალო მშობელს კომპანიას გადასცა 775 ათასი ლარი მისი ოპერაციების დასაფინანსებლად.

ქოვბ ზეიდაძე

19. წილობრივი გადახდები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წილობრივი კომპენსაციის გეგმის მიხედვით, კომპანია იღებს მომსახურებას ხელმძღვანელობისგან, რომლისთვისაც ანაზღაურება კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტებით ხდება. წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარდება, როგორც ხარჯი. ხარჯად გატარებული ჯამური თანხა განისაზღვრება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მითითებით, ნებისმიერი არასაბაზრო უფლების გადაცემის პირობების გავლენის გამოკლებით. ხარჯად გასატარებელი ჯამური თანხა აღიარდება უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რაც წარმოადგენს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს უფლების გადაცემის ყველა მითითებული პირობა. ყოველი საბალანსო თარიღისთვის, კომპანია გადახედავს საკუთარ შეფასებებს წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზე უფლების გადაცემა მოსალოდნელია უფლების გადაცემის პირობების საფუძველზე. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების პროგრამიდან გამომდინარე კაპიტალის ზრდა დაგროვილ აქციებზე აღირიცხება წილობრივი გადახდის რეზერვში. იმის გამო, რომ წილობრივი ინსტრუმენტების უფლების გადაცემა ხორციელდება ნაწილობრივი შენატანებით, გამოიყენება უფლების გადაცემის საფუძვროვანი პროგრამა და თითოეული ტრანშის ხარჯად გატარება მოხდება მისივე მომსახურების პერიოდის განმავლობაში, ხოლო საკრედიტო ჩანაწერი წარმოადგენს კაპიტალს.

ხელმძღვანელობის წახალისების შეთანხმება. 2023 წლის 7 აპრილს Cement Invest B. V. -მ გააფორმა წახალისების შეთანხმება შპს „ქართული ცემენტი“-ს აღმასრულებელ დირექტორებთან, რომლითაც შესთავაზა კომპანიის შვიდ აღმასრულებელ დირექტორს კომპანიის საკუთრების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის შეძენის ოფციონი. შუალედურმა ჰოლდინგმა იკისრა ვალდებულება გადასცეს თავისი საკუთრება შვილობილ კომპანიაში აღმასრულებელ დირექტორებს, მაშინ, როდესაც ისინი გამოიყენებენ საკუთრების ოფციონებს.

იმ საკუთრების ოდენობა, რომლებიც უფლებამოსილ დირექტორებს შეუძლიათ შეიძინონ პროგრამის მეშვეობით, შეზღუდულია მთლიანობაში 4.13%-მდე. დირექტორებს უფლება აქვთ გაანაღდონ მათი სარგებელი გამოუყენებელი საკუთრების ოფციონებისთვის ფულადი სახსრების მიღებით იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გაიყიდება მესამე მხარეზე.

ოფციონები განპირობებულია იმით, რომ დასაქმებული დაასრულებს კონკრეტული რაოდენობის წლების მომსახურებას (უფლების გადაცემის პერიოდი), რაც შეადგენს მაქსიმუმ 5 წელს. ოფციონის გამოყენება შესაძლებელია მათი გაცემიდან ერთი წლის შემდეგ.

შეთანხმება აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებული წილობრივი გადახდები.

წამახალისებელი პროგრამის შედეგად პერსონალის ხარჯად აღიარებულმა ხარჯმა შეადგინა 1,767 ათასი ლარი. სარგებლის სამართლიანი ღირებულება გაცემის თარიღისთვის განისაზღვრა გაცემის თარიღზე არსებული საკუთრების ოფციონის ფასის გათვალისწინებით, რომელიც გამოითვლება ბინომიალური მოდელის გამოყენებით. საკუთრების ოფციონების (პროცენტებში) გამოყენებული საშუალო შეწონილი დასაფარი სარეალიზაციო ფასი წლის ბოლოს იყო 10,014 ათასი ლარი და ჰქონდა 4.3 წელი საშუალო შეწონილი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა.

ხელმოწერა

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

20. ნასესხები სახსრები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

აღიარება და შეფასება. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციისთვის გაწეული ხარჯის გამოკლებით, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი ევროში	1	32,983
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი აშშ დოლარში	7,971	-
დარიცხული პროცენტი (ც)	27	197
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	7,998	33,180

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი ევროში	-	63,245
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი აშშ დოლარში	69,704	-
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	69,704	63,245

ფინანსური დანახარჯები მოიცავდა შემდეგს:

ათასი ლარი	2023	2022
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	9,610	8,155
საიჯარო ვალდებულებებზე პროცენტის დარიცხვა	240	261
სულ ფინანსური დანახარჯები	9,850	8,416

ნასესხებ სახსრებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შედგებოდა შემდეგი თანხებისგან:

ათასი ლარი	2023	2022
ევროში აღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	3,995	7,950
აშშ დოლარში აღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	5,568	-
ლარში აღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	47	205
სულ	9,610	8,155

უძრავი და მოძრავი აქტივები სულ არამატერიალურ აქტივებთან ერთად მთლიანად არის დაგირავებული ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

ქეთევან ჭეიშვილი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

20 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2023 წლის 23 ივნისს კომპანიამ მიიღო აშშ დოლარში დენომინირებული ნასესხები სახსრები, რომელიც სრულად ფარავდა იმავე ბანკიდან ევროში დენომინირებულ ნასესხებ სახსრებს. ევროში დენომინირებული ნასესხები სახსრების დაფარვის ვადა 84 თვეა, ხოლო საპროცენტო განაკვეთი აქვს 6 თვიან SOFR განაკვეთს პლუს 8.25%.

საქართველოს კომერციული ბანკიდან ნასესხებ სახსრებს გააჩნიათ სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური შეთანხმებები, რომლებიც გააქტიურდა ახალი, მშრალი ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ. კომპანია შეთანხმებულ პირობებთან შესაბამისობაში იყო 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვარს	96,425	176,045
ფულადი ნაკადები		
ნასესხები სახსრების მიღება	79,166	4,453
გადახდილი პროცენტი	(9,192)	(7,718)
ძირითადი თანხის დაფარვა	(99,426)	(58,699)
არა-ფულადი ცვლილებები		
პროცენტის დარიცხვა	9,610	8,027
სავალუტო შემოსულობები, ნეტო	1,119	(25,683)
31 დეკემბერს	77,702	96,425

21. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციისთვის გაწეული ხარჯების გარეშე და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
დარიცხვები საქონლისა და მომსახურებისთვის	5,082	2,644
საგადასახადო ვალდებულება	3,783	3,308
სახელფასო და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ვალდებულება	3,673	5,939
ლიცენზიის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების ვალდებულებები	1,870	1,997
სხვა ვალდებულებები	2,777	3,753
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ	17,185	17,641

ქეთევან ზეიწყაიძე

22. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციისთვის გაწეული ხარჯების გარეშე და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი მოიცავს ნაშთებს მესამე მხარეების მიმართ საქონლის (წედლეულის, სათადარიგო ნაწილების, სახარჯო მასალების და მარაგების) და მომსახურების მიწოდებისთვის

23. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. გაურკვევლობა არსებობს საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციებთან, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან, და მომავალი დასაბეგრი მოგების ოდენობასა და მიღების დროსთან დაკავშირებით. საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ ოპერაციები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები, რაც შეიძლება შეფასებული იყოს, როგორც მნიშვნელოვანი.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო ხანგრძლივი პერიოდის მოიცვას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება სათანადოა და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციები უცვლელი დარჩება.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, როგორც მეტად სავარაუდო, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად სამთავრობო ორგანოების უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს.

მნიშვნელოვანი რეგულაციები, რომლებიც ხელმძღვანელობისთვის გასათვალისწინებელია, არის რეგულაციები ხმაურის და გარემოს დაბინძურების შესახებ. ხელმძღვანელობა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს ცემენტის ქარხნების ხმაურის და დაბინძურების ნორმების შესახებ. გარდა ამისა, თუ გარემოს დაცვის სამინისტრო მიიღებს რაიმე სახის პრეტენზიას საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ტარდება მოულოდნელი შემოწმებები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ქარხნები ბევრად წინ უსწრებს მიღებულ ნორმებს და არ არსებობს რეგულაციის დარღვევის რისკი.

ქეთევან ზეიფაშვილი

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

რეკულტივაცია. კომპანიას აქვს ბუნებრივი რესურსების მოპოვების რამდენიმე ლიცენზია. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადად ავალდებულებს ბუნებრივი რესურსების მომხმარებლებს ლიცენზირებული ტერიტორიების რეკულტივირებას მათი საქმიანობის განმავლობაში. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში წინ წასული არ არის და არ იძლევა საკმარის დეტალურ მითითებებს ყველა შესაძლო სიტუაციისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობამ დეტალურად გააანალიზა მისი ყველა ლიცენზია და შეაფასა, რომ მას არ ექნება ვალდებულება გასწიოს რაიმე არსებითი ხარჯები რეკულტივაციისთვის ლიცენზიების ვადის გასვლის მომენტში, ან მათი გამოყენების დროს, რადგან შეუძლებელია ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიების რეკულტივაცია, ვინაიდან სალიცენზიო მონახაზი განისაზღვრება, როგორც წიაღისეულის მოპოვების არეალი და საქართველოს კანონმდებლობით, ასეთ ტერიტორიებზე რეკულტივაცია აკრძალულია. გარდა ამისა, ბუნებრივი რესურსების მოცულობა სალიცენზიო მონახაზში აღემატება იმ მთლიან რაოდენობას, რომელიც კომპანიამ შეიძლება მოიპოვოს ლიცენზირების პერიოდში, რაც მთავრობას აძლევს შესაძლებლობას გადასცეს წიაღისეულის მოპოვების უფლებები სხვა საწარმოებს კომპანიის ხელთ არსებული ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემდეგ. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში კანონმდებლობა შეიცვალოს და კომპანიის ამჟამინდელ ლიცენზიებსაც შეეხოს აღნიშნული ცვლილებები. კომპანიას არ აქვს აღიარებული რეკულტივაციის ანარიცხები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ასეთმა დებულებებმა, თუ ისინი საჭირო გახდება, შეიძლება ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა მოახდინოს.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები ძირითადი საშუალებების მიმართებაში, საერთო ჯამში 1,242 ათასი ლარი (2022: ნული).

კომპანიამ უკვე გამოყო საჭირო რესურსები აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. კომპანიას მიაჩნია, რომ მომავალი წმინდა შემოსავალი და დაფინანსება საკმარისი იქნება ამ და ნებისმიერი მსგავსი ვალდებულებების დასაფარად.

საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები. 2023 წლის 23 ივნისს და 2023 წლის 23 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა ერთობლივი საგარანტიო ხელშეკრულება, რომლითაც დაეკისრა ვალდებულება, სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ერთად წარმოადგენდეს გარანტორს, მსხვილი საკუთრების მფლობელის - Cement Invest BV-ის მიერ ბანკისგან მიღებული ნასესხები სახსრებისთვის მაქსიმალური გარანტირებული ვალდებულებით 200,000 ათასი აშშ დოლარი (537,880 ათასი ლარი) და 300 000 ათასი აშშ დოლარი (806,820 ათასი ლარი), შესაბამისად. გარანტირებული ვალდებულების მაქსიმალური ზღვარი წარმოადგენს მხოლოდ ზედა ზღვარს, რომლის ზემოთაც ბანკს არ შეუძლია მოთხოვნის წამოყენება გარანტორის წინააღმდეგ (მაშინაც კი, თუ ვალდებულება აღემატება ამ ზღვარს). თუმცა, ვალდებულების მაქსიმალური ზღვარი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ამ ზღვრის შესაბამისი ვალდებულება უკვე არსებობს და ბანკს შეუძლია მოითხოვოს ეს თანხა შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის გარეშე. თუ მშობელი კომპანია ვერ დაფარავს სესხებს, ან როდესაც მისი გადახდისუნარიობა აშკარაა, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კომპანიისგან წინასწარი გადახდა Cement Invest BV-ის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. შეთანხმებას ვადა ეწერება 2030 წლის დასრულებამდე, მშობელი კომპანიის მიერ მოპოვებული ნასესხები სახსრების შესაბამისად.

საგარანტიო ხელშეკრულებები გულისხმობს გამსესხებელი ბანკის მიმართ Cement Invest BV-ის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკის გაზიარებას. აღნიშნული ხელშეკრულებების პირობების თანახმად, კომპანია იღებს პასუხისმგებლობას მსხვილი საკუთრების მფლობელის გამსესხებელი ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულების ნებისმიერ შეფერხებასა და გადახდისუნარიობის მტკიცებულებაზე.

ქეთევან ზეიბაშვილი

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საგარანტიო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულება აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების ნაწილში. ვინაიდან საგარანტიო ხელშეკრულებები წარმოადგენს ოპერაციას მშობელ კომპანიასთან, კომპანიამ შესაბამისი ვალდებულებები მოგების ან ზარალის ნაცვლად აღიარა საკუთარ კაპიტალთან შესაბამისობაში.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი აქტივი, არამატერიალური აქტივების ჩათვლით, დაგირავებულია საქართველოს კომერციულ ბანკში მიღებული ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

ბანკიდან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად, Cement Invest BV-მ ასევე დააგირავა 100% საკუთრება, მოძრავი და უძრავი აქტივები, მათ შორის კომპანიის, სხვა დაკავშირებული მხარეების არამატერიალური აქტივები და საბოლოო საკუთრების მფლობელის ზოგიერთი პირადი აქტივი.

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო ვალდებულებების და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებისგან, საიჯარო ვალდებულებებისგან და ნასესხები სახსრებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო მოთხოვნები და ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდობის, სავალუტო და საპროცენტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტის ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და რითაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს მოთხოვნების ანგარიშების, ასევე ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებლის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ზღვრები.

გაუფასურების ანალიზი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მსხვილი მოთხოვნებისთვის ინდივიდუალურად, ხოლო უფრო მომცრო მოთხოვნებისთვის - კოლექტიურად ხდება. მომხმარებლების დაუფარავი მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები რეგულარულად კონტროლდება, მსხვილი მომხმარებლებისთვის მიწოდებები, როგორც წესი, უზრუნველყოფილია ავტორიტეტული ბანკებისგან ან სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული აკრედიტივებით ან კრედიტის სხვა ტიპის დაზღვევით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული და ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული, წარმოადგენილია მე-15 შენიშვნაში.

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ფულადი სახსრების მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში განთავსებით, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას სესხები გაცემული, ხოლო ნასესხები სახსრები აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში და, ამასთან, ყიდულობს იმპორტირებულ საქონელს, ხოლო შესყიდვები უცხოურ ვალუტაში ხდება.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის სავალუტო რისკის შესახებ:

<i>ათასი ლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
2023 წლის 31 დეკემბერი		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	336	299
გაცემული სესხები	66,276	4,445
სავაჭრო ვალდებულებები	(4,346)	(4,042)
საიჯარო ვალდებულებები	(320)	-
ნასესხები სახსრები	(77,702)	
წმინდა პოზიცია	(15,756)	702

<i>ათასი ლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
2022 წლის 31 დეკემბერი		
სავაჭრო მოთხოვნები	3	868
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56,772	69
სავაჭრო ვალდებულებები	(1,818)	(3,669)
საიჯარო ვალდებულებები	(1,260)	-
ნასესხები სახსრები	-	(96,633)
წმინდა პოზიცია	53,697	(99,365)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა სავალუტო კურსების სავარაუდო მერყეობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი უცვლელი რჩება, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო:

ხათია ზეზუაშვილი

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2023 წ. 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი	20%	3,151
აშშ დოლარი	-20%	(3,151)
ევრო	20%	140
ევრო	-20%	(140)
2022 წ. 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი	20%	10,739
აშშ დოლარი	-20%	(10,739)
ევრო	20%	19,873
ევრო	-20%	(19,873)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების დაფარვის ვადების ანალიზთან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

ათასი ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2023 წ. 31 დეკემბერი					
ნასესხები სახსრები სავაჭრო	4,547	13,640	72,748	27,280	118,215
ვალდებულებები სხვა მოკლევადიანი	27,667	-	-	-	27,667
ვალდებულებები საიჯარო	17,184	-	-	-	17,184
ვალდებულებები საგარანტიო	424	1,131	3,732	691	5,978
ხელშეკრულებათა ნ დაკავშირებული ვალდებულებები	527	1,583	11,686	-	13,796
სულ	50,349	16,354	88,166	27,971	182,840

ქეთევან ბერიძე

25. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნა

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან საანგარიშგებო თარიღისთვის.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულება შეფასებული ან განმარტებულია, იერარქიულად კატეგორიზებულია მესამე ეტაპზე, გარდა სალაროში არსებული ფულადი სახსრებისა, რომლებიც პირველ ეტაპზეა და ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებისა, რომლებიც მეორე ეტაპზეა შეფასებული.

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

საქმიანობის ნორმალური მსვლელობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, ოპერაციების ფასი განსაზღვრული საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის, თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, მაშინ, როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისთვის. განსჯის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ბასს 24-ის დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში:

ქართული ცემენტი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

26 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნა (გაგრძელება)

ათასი ლარი	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	ნეტო მოთხოვნა/ (ვალდებულება)
2023			
მესაკუთრების მიერ კონტროლირებული საწარმოები			
HC TRADING GMBH	2,931	-	-
შპს „თერჯოლა-კარიერი“	771	523	2,566
შპს რუსთავის ფოლადი (b)	588	553	10
შპს „მაგთიკომი“	372	-	(53)
შპს Heidelbergcement (Rus)	107	-	-
შპს GTDF Solution	62	49	(1)
Sand & Grus AB Jehander	18	-	-
Gorazdze Cement S.A.	12	-	-
მესაკუთრე			
HeidelbergCement AG (c)	19	-	-

ათასი ლარი	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	ნეტო მოთხოვნა/ (ვალდებულება)
2022			
მესაკუთრების მიერ კონტროლირებული საწარმოები			
HC TRADING GMBH	11,175	-	(2,288)
შპს „თერჯოლა-კარიერი“	1,968	986	2,541
შპს რუსთავის ფოლადი (b)	450	1,342	18
შპს „მაგთიკომი“	335	5	(55)
HC Green Trading Limited	-	-	(10)
შპს „ბორჯომი-ვოთერსი“	108	-	(10)
IDS ბორჯომი საქართველო	-	-	(140)
შპს „HC Fuels“	-	-	(29)
HC Trading Malta Limited	-	-	(5)
HC Trading Malta Limited	-	-	-
Gorazdze Cement S.A.	-	-	12
DEVNYA CEMENT AD	6	-	-
HeidelbergCement Services LLP	-	-	625
შპს Georgian Steel	-	-	-
შპს Heidelbergcement Rus	-	-	111
მესაკუთრე			
HeidelbergCement AG (c)	8,435	75	(1,904)
Cement Invest B.V.	289	-	-

ქართული ცემენტი

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

26 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნა (გაგრძელება)

- (a) კომპანია ნედლეულს იძენს HC TRADING GMBH-სგან.
- (b) კომპანია ჯარტს ყიდის „რუსთავის ფოლადზე“.
- (c) HeidelbergCement AG-ისგან შესყიდვები წარმოადგენს ჯგუფის ზედნადებ ხარჯს და კომპანიის ხარჯებს, რომლებიც შედგება ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების . ლიცენზიების საფასურისა და გენერალური დირექტორის ანაზღაურებისგან.

გაცემული სესხები ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
შპს Mtkvari Holding	66,276	-
შპს Industria Kiri	14,685	-
შპს თერჯოლა კარიერი	4,445	4,449
შემცირებული: შპს Industria Kiri -ს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით*	(14,685)	-
სულ	70,721	4,449

* 14,646 ათასი ლარის ოდენობის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი დაირიცხა მოგებაში ან ზარალში (შენიშვნა 15).

ფასს 16-ის მიხედვით აღრიცხული იჯარები (კომპანია, როგორც მოიჯარე) ათასი ლარი	საპროცენტო ხარჯი		საიჯარო ვალდებულება	
	2023	2022	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს რუსთავის ფოლადი	17	26	705	205
შპს თერჯოლა კარიერი	25	26	196	212
სულ	42	52	900	417

ოპერაციები მთავარ ხელმძღვანელ პირებთან

კომპანიის მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს და პრემიებს და შეადგინა 4,498 ათას ლარი (2022 წ.: 4,781 ათასი ლარი).

ქეთევან ზეიფაშვილი

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოთა გაერთიანება. 2024 წლის 7 თებერვალს მესაკუთრემ გადაწყვიტა შპს „თერჯოლა-კარიერის“ - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს კომპანიასთან შერწყმა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შერწყმა გაზრდის საოპერაციო ეფექტურობას სინერგიული სარგებელის მეშვეობით.

კაპიტალის შემცირება. 2024 წლის განმავლობაში მესაკუთრემ კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან გაიტანა ჯამურად 162,065 ათასი ლარი .

ბრენდის განახლება. 2023 წლის განმავლობაში მესაკუთრეების ცვლილებების გამო, კომპანიამ 2024 წლის 13 სექტემბერს შეიცვალა იურიდიული სახელწოდება და გახდა შპს „ქართული ცემენტი“. ამ ცვლილებების გამო ბრენდის განახლების პროცესის ფარგლებში, კომპანიამ Heidelberg Cement-ის ნაცვლად ბრენდის სახელად Hunnewell Cement-ის გამოყენება დაიწყო.

ცვლილებები მშობელი კომპანიის მესაკუთრეობაში. 2024 წლის დეკემბერში შეიცვალა საკუთრების სტრუქტურა კომპანიის მშობელ კომპანიაში – Cement Invest BV-ში. შედეგად, Park Street Capital Sarl ფლობს Cement Invest BV-ის 50.5%-ს, ხოლო GCF Luxembourg Sarl ფლობს 49.5%-ს.

ქეთილ გუგუშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N250181983



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

17.02.2025 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული
ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

51120202748225




ორიათას ოცდახუთი წლის ჩვიდმეტ თებერვალს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს ქართული ცემენტი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2023 წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდგატურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.

გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 144.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად 25.92 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 174.92 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციას (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18





შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3. მომზადების საფუძველი	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	9
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.....	10
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	13
7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15
8. რეალიზაციის თვითღირებულება	16
9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	16
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
11. სხვა ზარალი, ნეტო	17
12. მოგების გადასახადი	17
13. ძირითადი საშუალებები	19
14. მარაგები	21
15. გაცემული სესხები	22
16. სავაჭრო მოთხოვნები	27
17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	29
18. საკუთარი კაპიტალი	29
19. წილობრივი გადახდები	30
20. ნასესხები სახსრები.....	31
21. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	32
22. სავაჭრო ვალდებულებები	33
23. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	33
24. ფინანსური რისკის მართვა	35
25. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნა	39
26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნა	39
27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	42

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ქართული ცემენტის მესაკუთრეებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ქართული ცემენტის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღის მდგომარეობით;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედეგადად არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვეცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 28 იანვარი
თბილისი, საქართველო

შპს ქართული ცემენტი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	564,708	513,456
რეალიზაციის თვითღირებულება	8	(379,064)	(347,814)
მთლიანი მოგება		185,644	165,642
სხვა შემოსავალი		2,075	5,002
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	9	(29,327)	(30,692)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(30,296)	(24,773)
სხვა ზარალი, ნეტო	11	(6,565)	(4,203)
საოპერაციო მოგება		121,531	110,976
ხარჯი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და გაცემული სესხებისთვის	15	(14,646)	-
ფინანსური ხარჯები	20	(9,850)	(8,416)
ფინანსური შემოსავალი		2,418	1,899
სავალუტო შემოსულობა / (ზარალი), ნეტო		(3,258)	24,965
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		96,195	129,424
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		96,195	129,424
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		96,195	129,424

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:

გენერალური დირექტორი
 დავით ჯულაშვილი

ფინანსური დირექტორი
 ერეკლე ვარდოსანიძე

შპს ქართული ცემენტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენი- შვანა	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ.ის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	389,856	395,017
არამატერიალური აქტივები		4,725	5,046
აქტივის გამოყენების უფლება		3,144	3,162
გაცემული სესხები	15	66,276	-
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები	13	1,272	6,309
სულ გრძელვადიანი აქტივები		465,273	409,534
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	15	4,445	4,449
მარაგები	14	67,470	58,910
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		6,522	5,885
სავაჭრო მოთხოვნები	16	11,885	9,963
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	56,369	89,897
სულ მოკლევადიანი აქტივები		146,691	169,104
სულ აქტივები		611,964	578,638
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	249,979	291,811
გაუნაწილებელი მოგება		230,004	133,809
წილობრივი გადახდების რეზერვი	19	1,767	-
საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეზერვი	23	(13,796)	-
სულ საკუთარი კაპიტალი	18	467,954	425,620
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები		739	524
საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	23	11,686	-
საიჯარო ვალდებულებები		2,106	2,019
ნასესხები სახსრები	20	69,704	63,245
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		84,235	65,788
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	23	2,110	-
საიჯარო ვალდებულებები		1,291	1,293
ნასესხები სახსრები	20	7,998	33,180
სავაჭრო ვალდებულებები	22	27,667	30,350
სახელშეკრულებო ვალდებულებები	7	3,523	4,345
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21	17,185	17,641
სადივიდენდო ვალდებულებები		1	421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		59,775	87,230
სულ ვალდებულებები		144,010	153,018
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		611,964	578,638

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:

გენერალური დირექტორი
 დავით ჯუღაშვილი

ფინანსური დირექტორი
 ერეკლე ვარდოსანიძე

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-43, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ქართული ცემენტი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	წილობრ ივი გადახდე ბის რეზერვი	საგანარტიო ხელშეკრულ ებებთან დაკავშირებ ული რეზერვი	სულ
<i>ათასი ლარი</i>					
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	291,811	5,160	-	-	296,971
წლის მოგება	-	129,424	-	-	129,424
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ, წლის სრული შემოსავალი	-	129,424	-	-	129,424
გადაცემა უშუალო მშობელი კომპანიისთვის (შენიშვნა 18)	-	(775)	-	-	(775)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	291,811	133,809	-	-	425,620
წლის მოგება	-	96,195	-	-	96,195
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
სულ, წლის სრული შემოსავალი	-	96,195	-	-	96,195
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-18 შენიშვნა)	(41,832)	-	-	-	(41,832)
წილობრივი გადახდების ხარჯი (შენიშვნა 19)	-	-	1,767	-	1,767
საგანარტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეზერვის აღიარება (შენიშვნა 23)	-	-	-	(13,796)	(13,796)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	249,979	230,004	1,767	(13,796)	467,954

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-43, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ქართული ცემენტი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		96,195	129,424
მოგების გადასახადით დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაჯერებელი კორექტირებები			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	13	32,500	31,021
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	13	380	595
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		631	630
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		1,485	1,432
სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	16	52	22
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა		(166)	(175)
გაცემულ სესხებზე გაუფასურების ზარალი	15	14,646	-
წილობრივი გადახდის ხარჯი	19	1,767	-
სავალუტო ზარალი/(შემოსულობა), ნეტო		3,258	(24,965)
ფინანსური შემოსავალი		(2,418)	(1,899)
ფინანსური ხარჯი	20	9,850	8,416
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		158,180	144,501
ცვლილებები მარაგებში		(8,560)	(6,883)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(1,974)	(423)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში და სხვა მოკლევადიან აქტივებში		(642)	470
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		(2,683)	12,332
ცვლილებები სხვა მოკლევადიან ვალდებულებებსა და ანარიცხებში		(1,062)	4,168
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		(14,921)	9,664
მიღებული პროცენტი		2,098	1,900
იჯარასა და ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტი		(9,479)	(8,080)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		135,878	147,985
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გაცემული სესხები		(80,575)	(4,449)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსულობა		328	318
ძირითადი საშუალებების შეძენა		(22,845)	(28,689)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(309)	(38)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(103,401)	(32,858)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	20	(99,426)	(58,699)
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	20	79,166	4,453
საწესდებო კაპიტალის შემცირება	18	(41,832)	-
გადაცემა უშუალო მშობელი კომპანიისთვის	18	-	(354)
კომპანიის მესაკუთრეებისთვის გადახდილი დივიდენდები		(420)	-
მესაკუთრეებისთვის კაპიტალის განაწილება, დივიდენდების გარდა		(1,355)	(1,342)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(63,867)	(55,942)
ნეტო ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(31,390)	59,185
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	89,897	31,552
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,138)	(840)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	56,369	89,897

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-43, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ქართული ცემენტი“ (ყოფილი შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“, იურიდიული სახელწოდება შეიცვალა 2024 წლის 13 სექტემბერს, ბრენდის განახლების პროცესის ფარგლებში) (შემდგომში “კომპანია”), საიდენტიფიკაციო ნომრით 230866435, წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც იმართება და ოპერირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზირი 21.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ცემენტის, ბეტონისა და კლინკერის წარმოება და რეალიზაცია საქართველოში.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% -ის მესაკუთრე იყო ნიდერლანდებში მდებარე კომპანია CaucasusCement Holding B.V. („უშუალო მშობელი კომპანია“).

2023 წლის 21 აპრილს, HeidelbergCement Central Europe East Holding B.V.-მ, CaucasusCement Holding B.V.-ში საკუთრების 45% მიჰყიდა Cement Invest B.V.-ს. 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, CaucasusCement Holding B.V.-ის მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ასე გამოიყურება:

მესაკუთრე	საკუთრება	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია HeidelbergCement Central Europe East Holding B.V. (ან „HC CEE“)	-	45.00%
ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია Cement Invest B.V.	90.00%	45.00%
ქ-ნი სვეტლანა ლამპრიანოვა-ბეჟუაშვილი, საქართველოს მოქალაქე	10.00%	10.00%
სულ	100.00%	100.00%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Cement Invest B.V. კონტროლდება კაიძანის კუნძულებზე რეგისტრირებული Meadowsweet Assets Limited-ის მიერ, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი არის ქ-ნი ეკატერინა ხვედელიძე. საკუთრების სტრუქტურა შეიცვალა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში, დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 27-ში.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებასა და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის თებერვლიდან რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური დაძაბულობა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად გამწვავდა. ამან უარყოფითად იმოქმედა სასაქონლო, განსაკუთრებით ენერგომომარაგების ბაზრებზე. რამდენიმე ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ბევრმა კომპანიამ დატოვა რუსული ბაზარი და შეწყვიტა რუსეთის ბაზარზე მომსახურებისა და პროდუქციის მიწოდება. ასევე, ომის გამო, ზოგიერთი საქონელი აღარ არის ხელმისაწვდომი უკრაინიდან ექსპორტისთვის.

კომპანიის დამოკიდებულება უკრაინასა და რუსეთზე შემოიფარგლება ნახშირის შესყიდვით. კომპანიამ წარმატებით მოახერხა საქართველოს ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება და განაგრძო დაგეგმილი წარმოება: (i) ომის დაწყების დროს მარაგში არსებული ნახშირის სრულად გამოყენებით; (ii) ბუნებრივი აირის წილის გაზრდით საწვავის ნარევში; (iii) ადგილობრივი ნახშირის უწყვეტი შეძენით/გამოყენებით; და (iv) არასანქცირებული საერთაშორისო ნახშირის გონივრულ ფასად ყიდვა/მომარაგებით.

იმის გამო, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვეველობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ომის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ სტაბილური დინამიკა გამოავლინა. მთავრობის მიერ განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა ინვესტიციებმა, გაზრდილმა დანახარჯებმა გზებისა და სამშენებლო სექტორის პროექტებზე დადებითად იმოქმედა კომპანიის ოპერაციებზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის გამოყენებით, რომელიც მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მოცემულია თითოეულ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შესული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გარდა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 შენიშვნა და ქვემოთ განმარტებული ცვლილებები წარდგენაში).

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლ").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. სავალუტო შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, მოგებაში ან ზარალში აღიარდება. ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „სავალუტო შემოსულობები / (ზარალი), ნეტო“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება მუხლში „სხვა ზარალი, ნეტო“.

წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ თარიღით არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით, როდესაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არაფულად მუხლებზე სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა აღირიცხება სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის სახით.

2023 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსები გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი ("USD") 1 = ლ 2.6894 და ევრო ("EUR") 1 = ლ 2.9753 (2022 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = ლ 2.7020 და ევრო 1 = ლ 2.8844). ამჟამად ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად გაცვლად ვალუტას არ წარმოადგენს.

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

ცვლილებები წარდგენაში. წლის განმავლობაში კომპანიამ „საქონლის ტრანსპორტირებიდან მიღებული ამონაგების“ კლასიფიკაცია, რომელიც შეყვანილი იყო ნაწილში - „ამონაგები სხვა მომსახურების მიწოდებიდან“ შეცვალა „ცემენტის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებად“ და „კლინკერის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებად“. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ცვლილება გვაწვდის სარწმუნო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას. ბასს 8-ის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად და შესადარისები გადაანგარიშდა შესაბამისად.

წარდგენის მიზნებისთვის ხელახალი კლასიფიკაციების გავლენა თანხებზე 2022 წლის 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

ათასი ლარი	თავდაპირველი		
	წარდგენა	რელკასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული
ამონაგები სხვა მომსახურების მიწოდებიდან	27,072	(18,249)	8,823
ამონაგები ცემენტის რეალიზაციიდან	315,112	17,828	332,940
ამონაგები კლინკერის რეალიზაციიდან	37,108	421	37,529

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება – დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება – დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შენიშვნებში 15 და 16;

საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები - საგარანტიო ხელშეკრულებები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლითაც კომპანია მნიშვნელოვან რისკს იღებს პოლისის მფლობელისგან პოლისის მფლობელის კომპენსირებაზე თანხმობის გზით, თუ განსაზღვრული გაურკვეველი სამომავლო მოვლენა პოლისის მფლობელზე უარყოფითად იმოქმედებს. ამ შეფასების გაკეთებისას, ყველა არსებითი უფლება და ვალდებულება, მათ შორის კანონიდან, ან რეგულაციებიდან გამომდინარე, განიხილება თითოეული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია იყენებს განსჯას, რათა შეაფასოს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება საგარანტიო რისკს (ანუ, არსებობს თუ არა კომერციული შემცველობის მქონე სცენარი, რომელშიც კომპანიას ექმნება ზარალის შესაძლებლობა დღევანდელი ღირებულების საფუძველზე) და არის თუ არა მიღებული სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვანი.

საგარანტიო ხელშეკრულებების შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განჯსა, შეფასებები და დაშვებები მოიცავს სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას.

კომპანიის მიზანი, სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისას არის სცენარის მოსალოდნელი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შესაძლო შედეგების სრულ დიაპაზონს.

სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებები. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია მიუყვანება აერთიანებს ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ანგარიშგების თარიღისთვის ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე.

სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებები ასახავს კომპანიის შეხედულებას საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ მიმდინარე პირობებზე, საბაზრო ცვლადების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება დაკვირვებად საბაზრო ფასებს, როდესაც ეს შესაძლებელია.

სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ისეთი მომავალი მოვლენების მიმდინარე მოლოდინებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფულად ნაკადებზე, რომლებიც ეფუძნება საგარანტიო ხელშეკრულების ბენეფიციართა ინდუსტრიულ და ბიზნეს გარემოს დეფოლტის ალბათობას (დეფოლტის განაკვეთები).

2023 წლის 31 დეკემბერს დეფოლტის განაკვეთების 10%-ით ზრდა ან შემცირება გამოიწვევს საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების ზრდას ან შემცირებას 1,347 ათასი ლარის ოდენობით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-13 შენიშვნაში.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანიამ აღიარა საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება ამ სტანდარტის მიღებას (იხილეთ შენიშვნა 23).

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სთვის:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- **დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:** საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- **სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:** დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- **ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:** როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- **სხვა შესწორებები:** სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; მოგების გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამოები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალ-ცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები;

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოეღოს საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

ფასს 17-ის გარდა სხვა ახალი სტანდარტებისა და შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია.

ცვლილებები ფასს 16-ში, იჯარა: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები დაკავშირებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ ფასს 15-ში მოცემულ მოთხოვნებს და გაყიდვის სახით უნდა იქნეს აღრიცხული. ცვლილებებით მოითხოვება, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ ამ ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება შემდგომ შეაფასოს იმგვარად, რომ არ აღიაროს მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული რაიმე შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს მსგავსი შემოსულობის გადავადებას, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ცვალებადი გადახდების განხორციელების მოვალეობა და ის დამოკიდებული არ არის ინდექსზე ან განაკვეთზე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადავადდოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის მოკლევადიანად თუ გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშგებო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი განმარტებების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის მაისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოთხოვნილ იქნას საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების შესახებ განმარტება შენიშვნებში. ეს ცვლილებები მოითხოვს საწარმოს მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების განმარტებას შენიშვნებში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ამ შეთანხმებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკისადმი დაქვემდებარებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების, ან შეფასების პრინციპებზე, არამედ მხოლოდ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებზე. განმარტებითი შენიშვნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს). 2023 წლის აგვისტოში, ბასს-მა გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რაც დაეხმარება საწარმოებს შეაფასონ ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა და განსაზღვრონ სპოტ სავალუტო კურსი, მაშინ, როდესაც ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა არ არის. საწარმოზე ეს ცვლილება გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ტრანზაქციას ან ოპერაციას ისეთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით არ არის გაცვლადი. ბასს 21-ში შესწორებები არ ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სპოტ სავალუტო კურსი. სანაცვლოდ, ადგენს იმ ფარგლებს, რომლის მიხედვითაც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის ხელახლა გადაანგარიშება. საჭიროა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თანხების კონვერტირება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეფასებული სპოტ სავალუტო კურსით, გაუნაწილებელი მოგების კორექტირებით, ან კუმულაციური საკურსო სხვაობების რეზერვში. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს წარმოადგენს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. 2015 წელს, ბასს-მა გადაწყვეტილება მიიღო გადაედო ამ შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი განუსაზღვრელი ვადით. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს ისეთი საქონლის რეალიზაციით, როგორიცაა ცემენტი, ბეტონი, კლინკერი, კირქვა, ასევე მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდების გზით. ამონაგები აღიარდება საქონლის ტონაჟის ოდენობის ინდივიდუალურ ფასზე გამრავლებით, ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გასაყიდი ფასის დადგენის საწყისი წერტილი არის ფასების სია, რომელიც ინდივიდუალურად კორექტირდება ფიქსირებული ფასდაკლებით კონტრაქტის ტიპის, მოცულობის და მიწოდების მანძილის მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისას. მიწოდებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქონლის ტრანსპორტირება მოხდა კონკრეტულ ლოკაციაზე, ან მომხმარებელმა მიიღო საქონელი ხელშეკრულების ან მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ საქონლის მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები. კომპანია სხვა მომსახურებებს გასწევს ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულებების მიხედვით. კომპანია დროთა განმავლობაში გადასცემს კონტროლს მომსახურებაზე და შესაბამისად აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დროთა განმავლობაში, სხვა მომსახურებების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა მოხდა. ამონაგები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე გაწეული ფაქტობრივი მომსახურების, როგორც მთლიანი გასაწევი მომსახურების ნაწილის საფუძველზე, რადგან მომხმარებელი სარგებელს ერთდროულად იღებს და იყენებს.

როდესაც ხელშეკრულება შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, მაგალითად საქონლის გაყიდვას და ტრანსპორტირების მომსახურებას, ოპერაციის ფასი თითოეულ შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე.

დაფინანსების არცერთი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომლებიც განხორციელდა ავანსად გადახდით ან 30 დღიანი საკრედიტო პირობით.

ათასი ლარი	2023	2022
<i>შემდეგი პროდუქტების გაყიდვიდან წარმოქმნილი ამონაგები:</i>		
ცემენტი	328,874	332,940
ბეტონი	174,658	133,385
კლინკერი	49,208	37,529
კირქვა	1,024	779
სულ ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	553,764	504,633
<i>ამონაგები მომსახურების გაწევიდან:</i>		
სხვა მომსახურებები	10,944	8,823
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	564,708	513,456

ამონაგები აღიარების დრო შემდეგია:

ათასი ლარი	2023	2022
დროის გარკვეულ მომენტში	553,764	504,633
დროთა განმავლობაში	10,944	8,823
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	564,708	513,456

7 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნა (მე-16 შენიშვნა)	11,885	9,963
სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,523	4,344

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის მომხმარებლებისგან მიღებული ანაზღაურება და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ მომხმარებლებს.

საანგარიშგებო თარიღისთვის სახელშეკრულებო ვალდებულებების ამონაგებად აღიარება მოსალოდნელია, რომ მოხდება ერთ წელზე ნაკლებ ვადაში. 2023 წელს, სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღიარდა, როგორც ამონაგები.

8. რეალიზაციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2023	2022
საწვავის ხარჯები	75,800	75,560
ნედლეული და დანამატები	67,241	64,509
ნედლეულის ტრანსპორტირება და აფეთქების სამუშაოები	53,660	45,219
ელექტროენერგია	44,879	42,582
ცვეთა და ამორტიზაცია	34,618	33,075
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	32,876	25,922
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	20,631	17,848
სახარჯო მასალები	19,301	19,166
შეფუთვა	15,758	13,457
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	1,013	976
დაზღვევა	655	525
ცვლილებები მარაგებში	(2,124)	(4,678)
სხვა	14,756	13,653
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	379,063	347,814

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
ტრანსპორტირების ხარჯები	25,374	26,799
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	2,491	2,135
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	76	136
სხვა	1,386	1,622
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	29,327	30,692

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	13,497	11,385
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	5,022	4,793
სალიცენზიო გადასახადი (a)	4,140	2,593
ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება	2,742	2,846
ჯგუფის კომპანიებისგან საკონსულტაციო მომსახურებები	2,078	1,573
კომპანიის ზედნადები ხარჯის გადანაწილება (23-ე შენიშვნა)	622	389
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება (b)	609	692
ელექტროენერგიის სხვა ხარჯები	217	284
სხვა	1,369	218

სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	30,296	24,773
--	---------------	---------------

- (a) HeidelbergCement AG-მ კომპანიას გადასცა ისეთი პროდუქტების წარმოების და დისტრიბუციის ლიცენზია, როგორიცაა ცემენტი, აგრეგატები და ბეტონი (26-ე შენიშვნა).
- (b) პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს 472 ათას ლარს (2022: 353 ათასი) - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურების საფასურს, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

11. სხვა ზარალი, ნეტო

ათასი ლარი	2023	2022
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	166	298
სავალუტო შემოსულობა საოპერაციო საქმიანობიდან, ნეტო	149	517
მომველებული მარაგებისთვის შექმნილი ანარიცხები	(1,600)	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება (მე-13 შენიშვნა)	(380)	(595)
სხვა ხარჯები	(4,900)	(4,423)
სულ, სხვა ზარალი, ნეტო	(6,565)	(4,203)

12. მოგების გადასახადი**მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი, 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იზეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე), გადასახდელია ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში.

12 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორაციული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვის გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვის გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში, ხდება ბრუნვის გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად, ან როგორც ხარჯების მუხლი, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვის გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან ანაზღაურებადი ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადახდილი ავანსების და სხვა აქტივების მუხლში.

საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო წარდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

13. ძირითადი საშუალებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული დაგროვილი ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების შეფასებულ ვადაზე შემდეგნაირად:

- შენობა-ნაგებობები 33 წლამდე;
- მანქანა-დანადგარები 30 წლამდე;
- ავტომობილები და სხვა აღჭურვილობა 30 წლამდე.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით, ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები შეფასებული იქნა, როგორც ნულის ტოლი.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. უწყვეტი ოპერაციების გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების იმ კატეგორიებში, რომლებიც შეესაბამება გაუფასურებული აქტივის ფუნქციებს.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხორციელდება შეფასება იმის შესახებ, არსებობს თუ არა რაიმე მითითება იმისა, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს, ან ის შემცირდა. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ დაშვებებში ბოლო გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობისა და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე გავლენა 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის იქნება მისი გაზრდა 3,611 ათასი ლარით ან შემცირება 2,955 ათასი ლარით (2022: ზრდა 3,447 ათასი ლარით ან შემცირება 2,820 ათასი ლარით).

12 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა შემდეგი იყო:

ათასი ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	ქარხანა და დანადგარები	ავტომობილები და სხვა აღჭურვილობა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 1 იანვარი	209,177	297,213	133,793	9,285	649,468
დამატებები	4,501	3,719	10,352	4,855	23,427
გასვლები და ჩამოწერები	(5,618)	(8,753)	(10,937)	-	(25,308)
გადაცემები	3,288	4,856	1,082	(9,226)	-
2022 წ. 31 დეკემბერი	211,348	297,035	134,290	4,914	647,587
დამატებები	2,756	7,777	7,709	9,640	27,882
გასვლები და ჩამოწერები	(2)	(1,760)	(7,044)	-	(8,806)
გადაცემები	1,878	3,599	3,020	(8,497)	-
2023 წ. 31 დეკემბერი	215,980	306,651	137,975	6,057	666,663
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
2022 წლის 1 იანვარი	(62,050)	(99,649)	(84,251)	-	(245,950)
წლის დარიცხვა	(8,235)	(13,786)	(9,000)	-	(31,021)
გაუფასურება	(28)	(173)	(394)	-	(595)
გასვლები და ჩამოწერები	5,618	8,753	10,625	-	24,996
გადაცემები	53	19	(72)	-	-
2022 წ. 31 დეკემბერი	(64,642)	(104,836)	(83,092)	-	(252,570)
წლის დარიცხვა	(8,599)	(14,062)	(9,839)	-	(32,500)
გაუფასურება	-	(169)	(211)	-	(380)
გასვლები და ჩამოწერები	2	1,740	6,901	-	8,643
გადაცემები	(34)	71	(37)	-	-
2023 წ. 31 დეკემბერი	(73,273)	(117,256)	(86,278)	-	(276,807)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 1 იანვარი	147,127	197,564	49,542	9,285	403,518
2022 წ. 31 დეკემბერი	146,706	192,199	51,198	4,914	395,017
2023 წ. 31 დეკემბერი	142,707	189,395	51,697	6,057	389,856

2023 წლის 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებების ყველა მუხლი დაგირავებულია საქართველოს ერთერთ კომერციულ ბანკში, მოპოვებული ნასესხები სახსრების (შენიშვნა 20) და მესამე მხარის მიერ ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 23).

12 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებში მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 1 იანვარს	1,047
დამატებები	6,220
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(958)
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბერს	6,309
დამატებები	12,220
დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	(17,257)
სულ გადახდილი ავანსები 2022 წლის 31 დეკემბერს	1,272

14. მარაგები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძირითადად, შედგება საწარმოო პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალებისგან, ტექნიკური მომსახურების და მშენებლობის პროცესში გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისგან, სარემონტო მასალებისგან და მზა პროდუქციისგან, რომელსაც კომპანია შემდეგ ჰყიდის. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და შეიცავს შემენაზე გაწეულ დანახარჯებს, გარდაქმნის ხარჯს და ამჟამინდელ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ სხვა დანახარჯებს.

გაუფასურების ზარალის დასადგენად ყოველწლიურად ხორციელდება არალიკვიდური მარაგების ანალიზი და ინვენტარიზაციის პროცედურა და აღმოჩენილი მოძველებული ერთეულები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება მარაგების გაუფასურების ანარიცხის ანგარიშში ასახვით.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სახარჯო მასალები(თვითღირებულებით)	20,063	17,581
სათადარიგო ნაწილები (თვითღირებულებით)	19,557	18,158
დაუმთავრებელი წარმოება (თვითღირებულება)	9,939	8,665
ნედლეული და დანამატები (თვითღირებულებით)	8,371	7,710
მზა პროდუქცია (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით)	7,533	6,796
მარაგები ტრანზიტში	2,007	-
მარაგები, სულ	67,470	58,910

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მარაგების მთლიანი ნაშთი დაგირავებულია ქართულ კომერციულ ბანკში მესამე მხარის მიერ ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით. იხილეთ შენიშვნა 20.

15. გაცემული სესხები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

თავდაპირველი აღიარება. გაცემული სესხები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ოპერაციის ხარჯებისთვის. სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას საუკეთესოდ დასტურდება გარიგების ფასით. შემოსულობა ან ზარალი საწყისი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების ტექნიკით, რომლის ამოსავალი მონაცემები მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ გაცემულ სესხებზე, რაც იწვევს მცისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები . საწარმო გაცემულ სესხებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კლასიფიკაციას ანიჭებს. გაცემული სესხების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე გაცემული სესხების შესაბამისი პორტფელის მართვისთვის და (ii) გაცემული სესხების ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. საწარმო პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს გაცემულ სესხებზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე.

გაცემული სესხებისთვის საწარმო იყენებს გაუფასურების სამეტაპიან მოდელს თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილის ტოლია, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტის მოვლენიდან მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ საწარმო გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადააქვთ მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადააქვთ და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა ახორციელებს ინდივიდუალურ შეფასებას თითოეული კონტრაქტისთვის გაცემული სესხებისთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხის შესაფასებლად. შეფასება, კომპანიის მიერ, ინდივიდუალურად ხორციელდება კონტრაქტის წარსული გადახდის ნიმუშის გათვალისწინებით. ამ კონტრაქტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, როგორიცაა მშპ-ს რყევები და უფრო ფართო ეკონომიკური პირობები, ასევე წარსული გადახდის ქცევა, კლიენტების კრედიტუნარიანობა და დარგის სპეციფიკური ტენდენციები. ინდივიდუალური შეფასება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ხელმძღვანელობის საექსპერტო შეფასებას, რომელიც რეგულარულად მოწმდება, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებებსა და ფაქტობრივ ზარალს შორის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანიამ გამოავლინა გარკვეული ძირითადი ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ყოველწლიურ საფუძველზე და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. ხუთი წლის შემდეგ საშუალოს რევერსიის მეთოდი გამოიყენება, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკური ცვლადები უბრუნდება გრძელვადიან საშუალო განაკვეთს (მაგ., უმუშევრობა), ან გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს (მაგ., მშპ).

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან შეფასებას, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელებს და ამოსავალ მონაცემებს. შემდეგი კომპონენტები დიდ გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის ანარიცხზე: დეფოლტის განსაზღვრა, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, დეფოლტის ალბათობა („PD“), რისკისადმი დაქვემდებარება დეფოლტისას („EAD“) და ზარალი დეფოლტისას („LGD“), ასევე მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. კომპანია რეგულარულად განიხილავს და ამოწმებს მოდელებსა და მოდელებში შეყვანილ მონაცემებს, რათა შეამციროს რაიმე სხვაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასა და საკრედიტო ზარალის ფაქტობრივ გამოცდილებას შორის. კომპანიამ გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგი. ყველაზე მნიშვნელოვანი საპროგნოზო დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონესთან და მათთვის მინიჭებულ შეწონვებთან არის სავალუტო კურსი და მშპ-ს ზრდის განაკვეთები.

2023 წლის 20 დეკემბერს კომპანიამ გააფორმა გრძელვადიანი სასესიო ხელშეკრულებები აშშ დოლარში ორ დაკავშირებულ მხარესთან - შპს „მტკვარი ჰოლდინგთან“ და შპს „ინდუსტრია კირისტან“ 65,915 ათასი ლარის (24,546 ათასი აშშ დოლარი) და 14,464 ათასი ლარის (5,454 აშშ დოლარი) ოდენობით, შესაბამისად. სესხები, პროცენტებთან ერთად, უნდა დაიფაროს 10 წლის შემდეგ პერიოდში.

ათასი ლარი	2023	2022
სესხები დაკავშირებული მხარეებისთვის	85,406	4,449
შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(14,685)	-
სულ, გაცემული სესხები 31 დეკემბრისთვის	70,721	4,449

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

შპს „მტკვარი ჰოლდინგისათვის“ გაცემული სესხი უზრუნველყოფილია 100% საკუთრებით. შპს „ინდუსტრია კირი-სთვის“ გაცემული სესხი უზრუნველყოფილია მხარეთა შორის შეთანხმებული აქტივებით, როგორც პირველი რანგის გირავნობა.

შპს „ინდუსტრია კირის“ ფინანსური საქმიანობის შედეგების შეფასების საფუძველზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოვლინდა, რომ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები გარკვეულ ეჭვს ბადებს გაცემული სესხის ნაშთის ამოღებადობასთან დაკავშირებით. შედეგად, სესხის სრული საბალანსო ღირებულება გაუფასურდა და სესხი კლასიფიცირებულია მე-3 ეტაპზე. შესაბამისი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გადასახადი შეყვანილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იხილეთ შენიშვნა 25 სესხების თითოეული კლასის შეფასებული სამართლიანი ღირებულებისთვის. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ განმარტებულია 26-ე შენიშვნაში.

შემდეგი ცხრილი ასახავს ცვლილებებს საკრედიტო ზარალის ანარიცხში და მთლიან საბალანსო ღირებულებაში საწარმოს მიერ დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხებისთვის, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი			მოლიანი საბალანსო ღირებულება		
	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ
	(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურებულისვის)		(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურებულისვის)	
ათასი ევრო						
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები						
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	4,449	-	4,449
მოძრაობები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე						
ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი ცვლილებები	-	(14,646)	(14,646)	65,916	14,646	80,562
დარიცხულ პროცენტში	-	-	-	273	-	273
სულ, მოძრაობები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე	-	(14,646)	(14,646)	66,189	14,646	80,835
მოძრაობები, რომლებსაც გავლენა არ ჰქონიათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე						
სავალუტო და სხვა მოძრაობები	-	(39)	(39)	83	39	122
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(14,685)	(14,685)	70,721	14,685	85,406

15 გაცემული სესხები (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი			მთლიანი საბალანსო ღირებულება		
	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ	ეტაპი 1	ეტაპი 3	სულ
	(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურების (ეზულისვის))		(12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	(არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კრედიტგაუფასურების (ეზულისვის))	
<i>ათასი ევრო</i>						
დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხები						
2022 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-	-
<i>მოძრაობები,</i>						
<i>რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე</i>						
<i>ახლად წარმოქმნილი ან შეძენილი ცვლილებები</i>	-	-	-	4,214	-	4,214
<i>დარიცხულ პროცენტში</i>		-	-	235	-	235
სულ, მოძრაობები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე	-	-	-	4,449	-	4,449
<i>მოძრაობები, რომლებსაც გავლენა არ ჰქონიათ პერიოდის საკრედიტო ზარალის ანარიცხის ხარჯზე</i>						
<i>სავალუტო და სხვა მოძრაობები</i>	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	4,449	-	4,449

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხების საკრედიტო რისკის ანალიზი კატეგორიებად დაყოფილია მათი კლასიფიკაციის მიხედვით - 1 და 3 ეტაპად. სესხები 1 ეტაპზე შეფასებულია, როგორც კარგი საკრედიტო ხარისხის მქონე, საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე. სესხები მე-3 სტადიაში იდენტიფიცირებულია, როგორც სპეციალური მონიტორინგის ან დეფოლტის სტატუსის მქონე მნიშვნელოვანი საკრედიტო გაუარესების და გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების გამო. არც ერთი გაცემული სესხი არ არის ვადაგადაცილებული.

16. სავაჭრო მოთხოვნები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ფასს 9-ს გამარტივებულ მეთოდს, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება განცდილ ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც კორექტირებულია იმ მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვად, რომლებიც გავლენას ახდენს კლიენტების მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე. კომპანიამ გამოავლინა ყველაზე რელევანტური ფაქტორები - გლობალური სამშენებლო ინდუსტრიის დეფოლტის ალბათობა, ქვეყნის რისკის პრემია და მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორების მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შემდგომ ანალიზდება ინდივიდუალურად, რათა აისახოს კონტრაპენტებთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაცია, როგორცაა საბანკო გარანტიები, კლიენტის სხვა ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობა, ან დეფოლტის მოვლენა.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 120 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა და ძირითადად გადასახდელია ანგარიშ-ფაქტურის თარიღიდან 30 დღის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც მოიცავს განსაზღვრის მეთოდოლოგიას, მოდელს და ამოსავალ მონაცემებს.

კომპანია ანარიცხის მატრიცას იყენებს სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. ანარიცხების განაკვეთები ეფუძნება ვადაგადაცილებულ დღეებს, გლობალური სამშენებლო ინდუსტრიის დეფოლტის ალბათობას, ქვეყნის რისკის პრემიას და მშპ-ს ფაქტობრივი ზრდის მაჩვენებელს.

ანარიცხის მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება კომპანიის მიერ წარსულში დაკვირვებად დეფოლტის განაკვეთებს, რომელიც კორექტირებულია საპროგნოზო ინფორმაციით.

ყოველი საანგარიშგებო თარიღით, წარსულში დაკვირვებადი დეფოლტის განაკვეთები ახლდება. მსხვილი მომხმარებლებისთვის კომპანია ანარიცხს აფასებს ინდივიდუალურად.

16 სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	14,195	12,221
შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(2,310)	(2,258)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	11,885	9,963

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის მოთხოვნების საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება, ანარიცხის მატრიცის გამოყენებით:

% / ათასი ლარი	სულ	არც ვადაგადაცი ლებული არც გაუფასურებ ული	ვადაგადაცილებული			
			<60 დღე	60-120 დღე	120-180 დღე	>180 დღე
2023						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	16%	0%	0%	0%	100%	98%
საბალანსო ღირებულება	14,195	4,404	7,400	42	32	2,317
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,310)	-	(10)	-	(32)	(2,268)
წმინდა ოდენობა	11,885	4,404	7,390	42	-	49
2022						
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	18%	0%	0%	0%	99%	97%
საბალანსო ღირებულება	12,221	8,103	1,781	11	21	2,305
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,258)				(21)	(2,237)
წმინდა ოდენობა	9,963	8,103	1,781	11	0	68

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ თანხები, რომლებიც ვადაგადაცილებულია, თუმცა არ არის გაუფასურებული, ამოღებადია. გაუფასურების ანალიზი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის პერიოდულად ხორციელდება. ანალიზი მოიცავს მომხმარებლებისაგან შემდგომში მიღებულ ფულად სახსრებს. კომპანია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ითვალისწინებს არსებულ საკრედიტო გაუმჯობესებებს, როგორცაა საბანკო გარანტიები, რადგან მოთხოვნების უმეტესობა საქართველოს კომერციული ბანკების გარანტიები დაფარვის ფარგლებშია.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში, მიმდინარე ანგარიშებს და მოთხოვნამდე ანგარიშებს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშებს და რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე ფულად სახსრებს სალაროში. აღნიშნულ დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 2,133 ათას ლარს (2022: 1,895 ათასი ლარი).

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები შემდეგია:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	56,369	89,887
ფულადი სახსრები სალაროში	-	10
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56,369	89,897

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო გაუფასურებული (2022: არცერთი). 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ნაშთები განთავსებული იყო სამ წამყვან ადგილობრივ ბანკში, რომლებსაც S&P-ის მიხედვით BB-დან BB+-მდე რეიტინგი აქვთ მინიჭებული (2022: BB- -დან BB+-მდე).

18. საკუთარი კაპიტალი**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის მესაკუთრე. კომპანიის გაცხადებულ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით.

კომპანიის კაპიტალი მოიცავს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ შენატანს კომპანიის საკუთარ კაპიტალში და გაუნაწილებელ მოგებას. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს. კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის ოპერაციული და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 249,979 ათას ლარს (2022: 291,811).

2023 წლის განმავლობაში, მესაკუთრემ გაიტანა კაპიტალი 41,832 ათასი ლარის ჯამური ოდენობით.

2022 წელს კომპანიამ უშუალო მშობელს კომპანიას გადასცა 775 ათასი ლარი მისი ოპერაციების დასაფინანსებლად.

19. წილობრივი გადახდები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წილობრივი კომპენსაციის გეგმის მიხედვით, კომპანია იღებს მომსახურებას ხელმძღვანელობისგან, რომლისთვისაც ანაზღაურება კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტებით ხდება. წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარდება, როგორც ხარჯი. ხარჯად გატარებული ჯამური თანხა განისაზღვრება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მითითებით, ნებისმიერი არასაბაზრო უფლების გადაცემის პირობების გავლენის გამოკლებით. ხარჯად გასატარებელი ჯამური თანხა აღიარდება უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, რაც წარმოადგენს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს უფლების გადაცემის ყველა მითითებული პირობა. ყოველი საბალანსო თარიღისთვის, კომპანია გადახედავს საკუთარ შეფასებებს წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ, რომლებზე უფლების გადაცემა მოსალოდნელია უფლების გადაცემის პირობების საფუძველზე. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების პროგრამიდან გამომდინარე კაპიტალის ზრდა დაგროვილ აქციებზე აღირიცხება წილობრივი გადახდის რეზერვში. იმის გამო, რომ წილობრივი ინსტრუმენტების უფლების გადაცემა ხორციელდება ნაწილობრივი შენატანებით, გამოიყენება უფლების გადაცემის საფეხუროვანი პროგრამა და თითოეული ტრანშის ხარჯად გატარება მოხდება მისივე მომსახურების პერიოდის განმავლობაში, ხოლო საკრედიტო ჩანაწერი წარმოადგენს კაპიტალს.

ხელმძღვანელობის წახალისების შეთანხმება. 2023 წლის 7 აპრილს Cement Invest B. V. -მ გააფორმა წახალისების შეთანხმება შპს „ქართული ცემენტი“ აღმასრულებელ დირექტორებთან, რომლითაც შესთავაზა კომპანიის შვიდ აღმასრულებელ დირექტორს კომპანიის საკუთრების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის შეძენის ოფციონი. შუალედურმა ჰოლდინგმა იკისრა ვალდებულება გადასცეს თავისი საკუთრება შვილობილ კომპანიაში აღმასრულებელ დირექტორებს, მაშინ, როდესაც ისინი გამოიყენებენ საკუთრების ოფციონებს.

იმ საკუთრების ოდენობა, რომლებიც უფლებამოსილ დირექტორებს შეუძლიათ შეიძინონ პროგრამის მეშვეობით, შეზღუდულია მთლიანობაში 4.13%-მდე. დირექტორებს უფლება აქვთ გაანაღდონ მათი სარგებელი გამოუყენებელი საკუთრების ოფციონებისთვის ფულადი სახსრების მიღებით იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გაიყიდება მესამე მხარეზე.

ოფციონები განპირობებულია იმით, რომ დასაქმებული დაასრულებს კონკრეტული რაოდენობის წლების მომსახურებას (უფლების გადაცემის პერიოდი), რაც შეადგენს მაქსიმუმ 5 წელს. ოფციონის გამოყენება შესაძლებელია მათი გაცემიდან ერთი წლის შემდეგ.

შეთანხმება აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებული წილობრივი გადახდები.

წამახალისებელი პროგრამის შედეგად პერსონალის ხარჯად აღიარებულმა ხარჯმა შეადგინა 1,767 ათასი ლარი. სარგებლის სამართლიანი ღირებულება გაცემის თარიღისთვის განისაზღვრა გაცემის თარიღზე არსებული საკუთრების ოფციონის ფასის გათვალისწინებით, რომელიც გამოითვლება ბინომიალური მოდელის გამოყენებით. საკუთრების ოფციონების (პროცენტებში) გამოყენებული საშუალო შეწონილი დასაფარი სარეალიზაციო ფასი წლის ბოლოს იყო 10,014 ათასი ლარი და ჰქონდა 4.3 წელი საშუალო შეწონილი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა.

20. ნასესხები სახსრები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

აღიარება და შეფასება. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციისთვის გაწეული ხარჯის გამოკლებით, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი ევროში	-	32,983
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის მოკლევადიანი ნაწილი აშშ დოლარში	7,971	-
დარიცხული პროცენტი (ც)	27	197
სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	7,998	33,180

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი ევროში	-	63,245
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი აშშ დოლარში	69,704	-
სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	69,704	63,245

ფინანსური დანახარჯები მოიცავდა შემდეგს:

ათასი ლარი	2023	2022
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	9,610	8,155
საიჯარო ვალდებულებებზე პროცენტის დარიცხვა	240	261
სულ ფინანსური დანახარჯები	9,850	8,416

ნასესხებ სახსრებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შედგებოდა შემდეგი თანხებისგან:

ათასი ლარი	2023	2022
ევროში აღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	3,995	7,950
აშშ დოლარში აღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	5,568	-
ლარში აღებული ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	47	205
სულ	9,610	8,155

უძრავი და მოძრავი აქტივები სულ არამატერიალურ აქტივებთან ერთად მთლიანად არის დაგირავებული ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

20 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2023 წლის 23 ივნისს კომპანიამ მიიღო აშშ დოლარში დენომინირებული ნასესხები სახსრები, რომელიც სრულად ფარავდა იმავე ბანკიდან ევროში დენომინირებულ ნასესხებ სახსრებს. ევროში დენომინირებული ნასესხები სახსრების დაფარვის ვადა 84 თვეა, ხოლო საპროცენტო განაკვეთი აქვს 6 თვიან SOFR განაკვეთს პლუს 8.25%.

საქართველოს კომერციული ბანკიდან ნასესხებ სახსრებს გააჩნიათ სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური შეთანხმებები, რომლებიც გააქტიურდა ახალი, მშრალი ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ. კომპანია შეთანხმებულ პირობებთან შესაბამისობაში იყო 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვარს	96,425	176,045
ფულადი ნაკადები		
ნასესხები სახსრების მიღება	79,166	4,453
გადახდილი პროცენტი	(9,192)	(7,718)
ძირითადი თანხის დაფარვა	(99,426)	(58,699)
არა-ფულადი ცვლილებები		
პროცენტის დარიცხვა	9,610	8,027
სავალუტო შემოსულობები, ნეტო	1,119	(25,683)
31 დეკემბერს	77,702	96,425

21. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციისთვის გაწეული ხარჯების გარეშე და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
დარიცხვები საქონლისა და მომსახურებისთვის	5,082	2,644
საგადასახადო ვალდებულება	3,783	3,308
სახელფასო და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ვალდებულება	3,673	5,939
ლიცენზიის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების ვალდებულებები	1,870	1,997
სხვა ვალდებულებები	2,777	3,753
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ	17,185	17,641

22. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციისთვის გაწეული ხარჯების გარეშე და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი მოიცავს ნაშთებს მესამე მხარეების მიმართ საქონლის (ნედლეულის, სათადარიგო ნაწილების, სახარჯო მასალების და მარაგების) და მომსახურების მიწოდებისთვის

23. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. გაურკვეველობა არსებობს საგადასახადო რეგულაციების ინტერპრეტაციებთან, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან, და მომავალი დასაბეგრი მოგების ოდენობასა და მიღების დროსთან დაკავშირებით. საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვემდებარებოდნენ ოპერაციები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები, რაც შეიძლება შეფასებული იყოს, როგორც მნიშვნელოვანი.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო ხანგრძლივი პერიოდიც მოიცვას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება სათანადოა და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციები უცვლელი დარჩება.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, როგორც მეტად სავარაუდო, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად სამთავრობო ორგანოების უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს.

მნიშვნელოვანი რეგულაციები, რომლებიც ხელმძღვანელობისთვის გასათვალისწინებელია, არის რეგულაციები ხმაურის და გარემოს დაბინძურების შესახებ. ხელმძღვანელობა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს ცემენტის ქარხნების ხმაურის და დაბინძურების ნორმების შესახებ. გარდა ამისა, თუ გარემოს დაცვის სამინისტრო მიიღებს რაიმე სახის პრეტენზიას საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ტარდება მოულოდნელი შემოწმებები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ქარხნები ბევრად წინ უსწრებს მიღებულ ნორმებს და არ არსებობს რეგულაციის დარღვევის რისკი.

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

რეკულტივაცია. კომპანიას აქვს ბუნებრივი რესურსების მოპოვების რამდენიმე ლიცენზია. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადად ავალდებულებს ბუნებრივი რესურსების მომხმარებლებს ლიცენზირებული ტერიტორიების რეკულტივირებას მათი საქმიანობის განმავლობაში. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში წინ წასული არ არის და არ იძლევა საკმარის დეტალურ მითითებებს ყველა შესაძლო სიტუაციისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობამ დეტალურად გააანალიზა მისი ყველა ლიცენზია და შეაფასა, რომ მას არ ექნება ვალდებულება გასწიოს რაიმე არსებითი ხარჯები რეკულტივაციისთვის ლიცენზიების ვადის გასვლის მომენტში, ან მათი გამოყენების დროს, რადგან შეუძლებელია ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიების რეკულტივაცია, ვინაიდან სალიცენზიო მონახაზი განისაზღვრება, როგორც წიაღისეულის მოპოვების არეალი და საქართველოს კანონმდებლობით, ასეთ ტერიტორიებზე რეკულტივაცია აკრძალულია. გარდა ამისა, ბუნებრივი რესურსების მოცულობა სალიცენზიო მონახაზში აღემატება იმ მთლიან რაოდენობას, რომელიც კომპანიამ შეიძლება მოიპოვოს ლიცენზირების პერიოდში, რაც მთავრობას აძლევს შესაძლებლობას გადასცეს წიაღისეულის მოპოვების უფლებები სხვა საწარმოებს კომპანიის ხელთ არსებული ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემდეგ. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში კანონმდებლობა შეიცვალოს და კომპანიის ამჟამინდელ ლიცენზიებსაც შეეხოს აღნიშნული ცვლილებები. კომპანიას არ აქვს აღიარებული რეკულტივაციის ანარიცხები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ასეთმა დებულებებმა, თუ ისინი საჭირო გახდება, შეიძლება ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა მოახდინოს.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები ძირითადი საშუალებების მიმართებაში, საერთო ჯამში 1,242 ათასი ლარი (2022: ნული).

კომპანიამ უკვე გამოყო საჭირო რესურსები აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. კომპანიას მიაჩნია, რომ მომავალი წმინდა შემოსავალი და დაფინანსება საკმარისი იქნება ამ და ნებისმიერი მსგავსი ვალდებულებების დასაფარად.

საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები. 2023 წლის 23 ივნისს და 2023 წლის 23 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა ერთობლივი საგარანტიო ხელშეკრულება, რომლითაც დაეკისრა ვალდებულება, სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ერთად წარმოადგენდეს გარანტორს, მსხვილი საკუთრების მფლობელის - Cement Invest BV-ის მიერ ბანკისგან მიღებული ნასესხები სახსრებისთვის მაქსიმალური გარანტირებული ვალდებულებით 200,000 ათასი აშშ დოლარი (537,880 ათასი ლარი) და 300 000 ათასი აშშ დოლარი (806,820 ათასი ლარი), შესაბამისად. გარანტირებული ვალდებულების მაქსიმალური ზღვარი წარმოადგენს მხოლოდ ზედა ზღვარს, რომლის ზემოთაც ბანკს არ შეუძლია მოთხოვნის წამოყენება გარანტორის წინააღმდეგ (მაშინაც კი, თუ ვალდებულება აღემატება ამ ზღვარს). თუმცა, ვალდებულების მაქსიმალური ზღვარი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ამ ზღვრის შესაბამისი ვალდებულება უკვე არსებობს და ბანკს შეუძლია მოითხოვოს ეს თანხა შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის გარეშე. თუ მშობელი კომპანია ვერ დაფარავს სესხებს, ან როდესაც მისი გადახდისუნარიობა ამკარაა, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კომპანიისგან წინასწარი გადახდა Cement Invest BV-ის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. შეთანხმებას ვადა ეწურება 2030 წლის დასრულებამდე, მშობელი კომპანიის მიერ მოპოვებული ნასესხები სახსრების შესაბამისად.

საგარანტიო ხელშეკრულებები გულისხმობს გამსესხებელი ბანკის მიმართ Cement Invest BV-ის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკის გაზიარებას. აღნიშნული ხელშეკრულებების პირობების თანახმად, კომპანია იღებს პასუხისმგებლობას მსხვილი საკუთრების მფლობელის გამსესხებელი ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულების ნებისმიერ შეფერხებასა და გადახდისუნარიობის მტკიცებულებაზე.

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საგარანტიო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულება აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საგარანტიო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების ნაწილში. ვინაიდან საგარანტიო ხელშეკრულებები წარმოადგენს ოპერაციას მშობელ კომპანიასთან, კომპანიამ შესაბამისი ვალდებულებები მოგების ან ზარალის ნაცვლად აღიარა საკუთარ კაპიტალთან შესაბამისობაში.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი აქტივი, არამატერიალური აქტივების ჩათვლით, დაგირავებულია საქართველოს კომერციულ ბანკში მიღებული ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

ბანკიდან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად, Cement Invest BV-მ ასევე დააგირავა 100% საკუთრება, მოძრავი და უძრავი აქტივები, მათ შორის კომპანიის, სხვა დაკავშირებული მხარეების არამატერიალური აქტივები და საბოლოო საკუთრების მფლობელის ზოგიერთი პირადი აქტივი.

24. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო ვალდებულებების და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებისგან, საიჯარო ვალდებულებებისგან და ნასესხები სახსრებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო მოთხოვნებიდა ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდობის, სავალუტო და საპროცენტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და რითაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს მოთხოვნების ანგარიშების, ასევე ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებლის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ზღვრები.

გაუფასურების ანალიზი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მსხვილი მოთხოვნებისთვის ინდივიდუალურად, ხოლო უფრო მომცრო მოთხოვნისთვის - კოლექტიურად ხდება. მომხმარებლების დაუფარავი მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები რეგულარულად კონტროლდება, მსხვილი მომხმარებლებისთვის მიწოდებები, როგორც წესი, უზრუნველყოფილია ავტორიტეტული ბანკებისგან ან სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული აკრედიტივებით ან კრედიტის სხვა ტიპის დაზღვევით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული და ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული, წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)*ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*

ფინანსური საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ფულადი სახსრების მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში განთავსებით, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას სესხები გაცემული, ხოლო ნასესხები სახსრები აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში და, ამასთან, ყიდულობს იმპორტირებულ საქონელს, ხოლო შესყიდვები უცხოურ ვალუტაში ხდება.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის სავალუტო რისკის შესახებ:

<i>ათასი ლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
2023 წლის 31 დეკემბერი		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	336	299
გაცემული სესხები	66,276	4,445
სავაჭრო ვალდებულებები	(4,346)	(4,042)
საიჯარო ვალდებულებები	(320)	-
ნასესხები სახსრები	(77,702)	
წმინდა პოზიცია	(15,756)	702

<i>ათასი ლარი</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>
2022 წლის 31 დეკემბერი		
სავაჭრო მოთხოვნები	3	868
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56,772	69
სავაჭრო ვალდებულებები	(1,818)	(3,669)
საიჯარო ვალდებულებები	(1,260)	-
ნასესხები სახსრები	-	(96,633)
წმინდა პოზიცია	53,697	(99,365)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა სავალუტო კურსების სავარაუდო მერყეობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი უცვლელი რჩება, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო:

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2023 წ. 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი	20%	3,151
აშშ დოლარი	-20%	(3,151)
ევრო	20%	140
ევრო	-20%	(140)
2022 წ. 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი	20%	10,739
აშშ დოლარი	-20%	(10,739)
ევრო	20%	19,873
ევრო	-20%	(19,873)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების დაფარვის ვადების ანალიზთან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

ათასი ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2023 წ. 31 დეკემბერი					
ნასესხები სახსრები სავაჭრო	4,547	13,640	72,748	27,280	118,215
ვალდებულებები სხვა მოკლევადიანი	27,667	-	-	-	27,667
ვალდებულებები საიჯარო	17,184	-	-	-	17,184
ვალდებულებები საგარანტიო	424	1,131	3,732	691	5,978
ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები	527	1,583	11,686	-	13,796
სულ	50,349	16,354	88,166	27,971	182,840

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2022 წ. 31 დეკემბერი					
ნასესხები სახსრები საფაქრო	10,412	28,405	68,332	-	107,149
ვალდებულებები სხვა მოკლევადიანი	30,350	-	-	-	30,350
ვალდებულებები საიჯარო	17,641	-	-	-	17,641
ვალდებულებები	375	935	1,171	830	3,311
სულ	58,778	29,340	69,503	830	158,451

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკს წარმოქმნის საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებები, რომლებიც გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. 2022 და 2021 წლებში კომპანიას მიღებული აქვს EURIBOR-ზე დამოკიდებული, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები და ამიტომ მას საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია მგრძნობელობა შესაძლო გონივრული ცვლილების მიმართ:

ათასი ლარი	ზრდა/ შემცირება % 2023	გავლენა მოგებაზე 2023
ვალუტა		
ლარი	(0.20%)	198
ლარი	0.20%	(198)

ათასი ლარი	ზრდა/ შემცირება % 2022	გავლენა მოგებაზე 2022
ვალუტა		
ლარი	(0.20%)	266
ლარი	0.20%	(266)

25. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნა

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან საანგარიშგებო თარიღისთვის.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულება შეფასებული ან განმარტებულია, იერარქიულად კატეგორიზებულია მესამე ეტაპზე, გარდა სალაროში არსებული ფულადი სახსრებისა, რომლებიც პირველ ეტაპზეა და ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებისა, რომლებიც მეორე ეტაპზეა შეფასებული.

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

საქმიანობის ნორმალური მსვლელობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, ოპერაციების ფასი განსაზღვრული საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის, თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, მაშინ, როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისთვის. განსჯის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ბასს 24-ის დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში:

შპს ქართული ცემენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

26 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნა (გაგრძელება)

<i>ათასი ლარი</i>	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	ნეტო მოთხოვნა/ (ვალდებულება)
2023			
მესაკუთრების მიერ კონტროლირებული საწარმოები			
HC TRADING GMBH	2,931	-	-
შპს „თერჯოლა-კარიერი“	771	523	2,566
შპს რუსთავის ფოლადი (b)	588	553	10
შპს „მაგთიკომი“	372	-	(53)
შპს Heidelbergcement (Rus)	107	-	-
შპს GTDF Solution	62	49	(1)
Sand & Grus AB Jehander	18	-	-
Gorazdze Cement S.A.	12	-	-
მესაკუთრე			
HeidelbergCement AG (c)	19	-	-

<i>ათასი ლარი</i>	შესყიდვები დაკავშირებული მხარეებისგან	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	ნეტო მოთხოვნა/ (ვალდებულება)
2022			
მესაკუთრების მიერ კონტროლირებული საწარმოები			
HC TRADING GMBH	11,175	-	(2,288)
შპს „თერჯოლა-კარიერი“	1,968	986	2,541
შპს რუსთავის ფოლადი (b)	450	1,342	18
შპს „მაგთიკომი“	335	5	(55)
HC Green Trading Limited	-	-	(10)
შპს „ბორჯომი-ვოთერსი“	108	-	(10)
IDS ბორჯომი საქართველო	-	-	(140)
შპს „HC Fuels“	-	-	(29)
HC Trading Malta Limited	-	-	(5)
HC Trading Malta Limited	-	-	-
Gorazdze Cement S.A.	-	-	12
DEVNYA CEMENT AD	6	-	-
HeidelbergCement Services LLP	-	-	625
შპს Georgian Steel	-	-	-
შპს Heidelbergcement Rus	-	-	111
მესაკუთრე			
HeidelbergCement AG (c)	8,435	75	(1,904)
Cement Invest B.V.	289	-	-

26 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნა (გაგრძელება)

- (a) კომპანია ნედლეულს იძენს HC TRADING GMBH-სგან.
- (b) კომპანია ჯართს ყიდის „რუსთავის ფოლადზე“.
- (c) HeidelbergCement AG-ისგან შესყიდვები წარმოადგენს ჯგუფის ზედნადებ ხარჯს და კომპანიის ხარჯებს, რომლებიც შედგება ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურების . ლიცენზიების საფასურისა და გენერალური დირექტორის ანაზღაურებისგან.

გაცემული სესხები ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები		
შპს Mtkvari Holding	66,276	-
შპს Industria Kiri	14,685	-
შპს თერჯოლა კარიერი	4,445	4,449
შემცირებული: შპს Industria Kiri -ს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით*	(14,685)	-
სულ	70,721	4,449

* 14,646 ათასი ლარის ოდენობის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი დაირიცხა მოგებაში ან ზარალში (შენიშვნა 15).

ფასს 16-ის მიხედვით აღრიცხული იჯარები (კომპანია, როგორც მოიჯარე) ათასი ლარი	საპროცენტო ხარჯი		საიჯარო ვალდებულება	
	2023	2022	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს რუსთავის ფოლადი	17	26	705	205
შპს თერჯოლა კარიერი	25	26	196	212
სულ	42	52	900	417

ოპერაციები მთავარ ხელმძღვანელ პირებთან

კომპანიის მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს და პრემიებს და შეადგინა 4,498 ათას ლარი (2022 წ.: 4,781 ათასი ლარი).

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოთა გაერთიანება. 2024 წლის 7 თებერვალს მესაკუთრემ გადაწყვიტა შპს „თერჯოლა-კარიერის“ - საერთო კონტროლს დაექვემდებარებული საწარმოს კომპანიასთან შერწყმა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შერწყმა გაზრდის საოპერაციო ეფექტურობას სინერგიული სარგებელის მეშვეობით.

კაპიტალის შემცირება. 2024 წლის განმავლობაში მესაკუთრემ კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან გაიტანა ჯამურად 162,065 ათასი ლარი .

ბრენდის განახლება. 2023 წლის განმავლობაში მესაკუთრეების ცვლილებების გამო, კომპანიამ 2024 წლის 13 სექტემბერს შეიცვალა იურიდიული სახელწოდება და გახდა შპს „ქართული ცემენტი“. ამ ცვლილებების გამო ბრენდის განახლების პროცესის ფარგლებში, კომპანიამ Heidelberg Cement-ის ნაცვლად ბრენდის სახელად Hunnewell Cement-ის გამოყენება დაიწყო.

ცვლილებები მშობელი კომპანიის მესაკუთრეობაში. 2024 წლის დეკემბერში შეიცვალა საკუთრების სტრუქტურა კომპანიის მშობელ კომპანიაში – Cement Invest BV-ში. შედეგად, Park Street Capital Sarl ფლობს Cement Invest BV-ის 50.5%-ს, ხოლო GCF Luxembourg Sarl ფლობს 49.5%-ს.